ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი, 2023 | №211 (9247) | ფასი: 80 თეთრი

დასაქმებულთა 18.6% სექტემბერში 600 ლარზე ნაკლებ ხელფასს იღებდა







ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავებული პოლიციის უფროსი ბრალს აღიარებს

# „ივანიშვილს უნდა, სალომე ზურაბიშვილისგან ოპოზიციის ლიდერი გამოძერწოს“




პაატა მანჯგალაძე: „ბიძინაზე თუ არ ლაპარაკობ და მიშაზე, მაშინ რის ოპოზიციის ლიდერი ხარ?!“



„ქართული ოცნება“ ცდილობს, ისე ჩააგდოს კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები, რომ პასუხისმგებლობა მას არ დაეკისროს. ეს პასუხისმგებლობა დააკისროს ოპოზიციას, დააკისროს თავად ევროკავშირს“

## „სტატუსს მოგვცემენ, რუსეთთან მარტო არ დაგვტოვებენ“




ლევან ალაფიშვილი: „მმართველ პარტიას ერთპიროვნულად ძალაუფლების შენარჩუნება გაუჭირდება. „ქართული ოცნება“ წვალობს, მაგრამ არ უმართლებს, რომ ისეთი სატელიტი პარტიები „გამოჩეკოს“, რომლებიც გაჭირვების ჟამს წაეშველება“

ზურაბ ქადაგიძე: „მიხეილ სააკაშვილს თუ რაიმე რეპუტაცია ჰქონდა შერჩენილი, საერთოდ გაქრა“

## „ევროპულ ორბიტას“ დაირქმევენ თუ „საქართველოს გადარჩენის გზას“ ე.წ. ოპოზიცია, მნიშვნელობა არ აქვს“







## „ვაშინგტონში მიხვდნენ, რომ რუსეთის მხრიდან ბირთვული საფრთხე მოჩვენებითია“




## ირაკლი ღარიბაშვილი: „ამ ქვეყანაში დასრულდა ის დრო, როცა პრეზიდენტს ეგონა, რომ კანონსა და კონსტიტუციაზე მაღლა იდგა“

„სტატუსს როცა მიიღებს ქვეყანა, რა თქმა უნდა, ეს იქნება ჩვენი ხელისუფლების დამსახურება ქართველ ხალხთან ერთად“

## რატომ დათხარეს თვალები ოტია მიქელაძეს?







## კვარაცხელია უნიონთა საუკეთესოდ დაასახელეს, კოპენჰაგენში ხოჭოლავა არ ათამაშეს

## პუტინის ახალი ჯოჯოხეთური გეგმა უკრაინაში




**3** მარნეულის ერთ-ერთ სოფელში მერვეკლასელი გოგონა დანიშნეს

**4** წლის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 1%-მდე გაიზრდება — საქართველოს ეროვნული ბანკი

**5** მედდამ მეხდაცემული კოლეგა გადაარჩინა

**6** 30 წლის მამაკაცმა გოგონების ტუალეტში შესაღწევად მოსწავლე გოგონას ფორმა ჩაიცვა

1993230720223

# „ივანიშვილს უნდა, სალომე ზურაბიშვილისგან ოპოზიციის ლიდერი გამოძერწოს“

## პაატა მანჯგალაძე: „ბიძინაზე თუ არ ლაპარაკობ და მიშაზე, მაშინ რის ოპოზიციის ლიდერი ხარ?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი პაატა მანჯგალაძე პასუხობს.



***– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? რას ცდილობს „ქართული ოცნება“, აგრძელებს პრეზიდენტ ზურაბიშვილის დევნას, თუ ესეც მორიგი სპექტაკლია? მთავარი პროკურორი არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტზე სამართლებრივი დევნა დაიწყოს.***

– ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ მეორე სერია აუცილებლად დაიწყებოდა. პირველმა სერიამ არ იმუშავა, ვერ შეიქმნა „ოპოზიციის ლიდერი“ პრეზიდენტისგან და ახლა დაიწყო მეორე მოქმედება. სალომე ზურაბიშვილისგან უნდა გამოიძერწოს ბიძინა ივანიშვილთან ახლოს მყოფი, ახალი ოპოზიციონერი, თანაც კარგად მართული. აი ეს პროცესი მიდის ახლა. შოთაძეს საერთოდ ვინ ეკითხება რამეს. რა სისხლის სამართლებრივი დევნა, კარგით, რა! მაგან მიხედოს ფარცხალაძეს და მიხედოს რუსი ჯაშუშის საქმის გამოძიებას.

***– ფარცხალაძე ჩემი მეგობარია, მაგრამ აღარ მინახავს, რაც ამერიკამ მის მიმართ სანქციები დააწესაო, შოთაძემ განაცხადა.***

– არა, ბიჭო, არ უნახავს! ნორმალურ ქვეყანაში შოთაძე გადამდგარი იქნებოდა. პირდაპირ დაკავშირებულია ფარცხალაძესთან და ასეთი ადამიანები, თავისი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, სამოქალაქო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, გადადგებოდნენ.

***– ბატონო პაატა, ის, რაც პრეზიდენტთან დაკავშირებით ხდება, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი „ოცნების“ თამაშია?***

– მე ვფიქრობ, რომ „ოცნება“ ცდილობს, რეალური ოპოზიციის ნაცვლად, ჰყავდეს მის მიერ მართული, მასთან უფრო კარგ დამოკიდებულებაში მყოფი პროდასავლური ძალები. ბუნებრივია, ეს ხდება. სწორედ ეს პროცესი მიდის, სალომესაც აწყობს, რომ პროცესის ლიდერი იყოს. ბიძინა ივანიშვილსაც აწყობს, რომ სალომე ზურაბიშვილისგან გამოძერწოს ლიდერი. მორჩა, ეს არის და ეს.

**„ქართული ოცნება“ ცდილობს, ისე ჩააგდოს კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები, რომ პასუხისმგებლობა მას არ დაეკისროს. ეს პასუხისმგებლობა დააკისროს ოპოზიციას, დააკისროს თავად ევროკავშირს“**

***– თქვენ ფიქრობთ, რომ სალომე ზურაბიშვილს ოპოზიციაში გაუშვებენ?***

– ოპოზიციაში უკვე არის სალომე ზურაბიშვილი. კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, მისი პოზიცია და „ქართული ოცნების“ პოზიცია განსხვავდება, ამას გვეუბნება. თუმცა, ის, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, პრეზიდენტი ამაზე არ საუბრობს, ის, რომ, რაც ამ ქვეყანაში ხდება, ბიძინა ივანიშვილის ბრალია, ამაზეც არ საუბრობს. ის, რომ სააკაშვილი რუსეთის ტყვე არის, სასამართლო არ გვაქვს და აგერ მასაც კი დაკავებით ემუქრება შოთაძე, ამაზე ხმას არ იღებს და ამ ყველაფერს ივანიშვილს არ აბრალებს. მაშინ ვის ატყუებს? ბიძინაზე თუ არ ლაპარაკობ და მიშაზე, მაშინ რის ოპოზიციის ლიდერი ხარ?!

***– ერთი პერიოდი აქტიურად საუბრობდნენ, რომ გიორგი გახარიას და სალომე ზურაბიშვილის ალიანსი იგეგმებაო. თუკი არ გადადგა სალომე ზურაბიშვილი, მაინც შესაძლებელია ვიხილოთ ეს ალიანსი?***

– სულაც არაა საჭირო პრეზიდენტის გადადგომა. პრეზიდენტი რომ გამოვიდეს და თქვას, ამას ვუჭერ მხარსო, ეს პრეზიდენტობაში ხელს რატომ უშლის?! ოღონდ შექმნან რამე და არ ვჩივი, ქოცს ყველაფერი აჯობებს.

***– პრეზიდენტმა აქტიურად დაიწყო ოპოზიციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრები და ესეც ბიძინა ივანიშვილის დავალებაა?***

– ორივეს ინტერესია ეს პროცესი. მარიონეტი იყავი და აქედან იქამდე, ამაზე ვერ დაითანხმებდა სალომეს. უბრალოდ ის, რაც ხდება, აწყობს ერთსაც და მეორესაც. ძალიან მარტივი საკითხია, სალომე ზურაბიშვილსაც აწყობს, რომ პრეზიდენტის ვადის დასრულების შემდეგ, პოლიტიკურ პროცესზე გავლენა ჰქონდეს და „ქართულ ოცნებასაც“ აწყობს, სალომესნაირი ლიდერი იყოს ქვეყანაში და არა ვაშაძის და მიშა სააკაშვილისნაირი ლიდერები, ეს ბუნებრივია.

***– მიხეილ სააკაშვილი ახსენეთ და საკმაოდ დაძაბულია ნაციონალურ მოძრაობაში სიტუაცია, რომ იტყვიან, ერთმანეთს ჭამენ. ეს ყველაფერი რამდენად აზიანებს ოპოზიციური ერთობის საკითხს?***

– დაძაბული კი არ არის, გაყინულია პროცესი. რაც იყო ერთი წლის წინ, არჩევნების დროს, იქ არიან ისევ. რა გითხრათ აბა, ან ისე უნდა გადაწყდეს საკითხი, ან ასე. მე მათ მაგივრად პასუხს ვერ გაგცემთ, მე ვარ სხვა პარტიის წარმომადგენელი. ლევან ხაბეიშვილთან დაკავშირებით კითხვები არ უნდა არსებობდეს წესით, ასეთი მაღალი ლეგიტიმაციით არჩეული თავმჯდომარე, თავის დროზე ბიძინა ივანიშვილიც არ ყოფილა „ქართულ ოცნებაში“. რეგიონებში გახსნილია ოფისები და საკმაოდ მაღალი აქტიურობაა. ნიკა მელიაც დღეს წარმოადგენს ნაციონალურ მოძრაობას, ისიც ერთ-ერთი ლიდერია, ყოფილი თავმჯდომარეა და, ბუნებრივია, უნდა შეთანხმდნენ სადავო საკითხებზე.

***– სადაც კეზერაშვილი და მერაბიშვილია, იქ მე ვერ ვიქნებიო და როგორ შეთანხმდებიან?***

– 24 ათას ადამიანს მერაბიშვილი და კეზერაშვილი ეძახო, ეს არასწორია. ეს მათი შიდა საქმეა. არ მინდა ჩარევა, არ მინდა გარევა! ერთი რამ ცხადია, ეს ყველაფერი მალე უნდა დამთავრდეს! ნაცვლად ბიძინაზე ლაპარაკისა, ერთი წელია ვლაპარაკობთ მელიას პარტიიდან წამოსვლაზე. ან რა ვერ გადაწყდა, ან ისე და ან ასე. ჩვენ რომ არ მოგვწონდა თავის დროზე, 2016-ში გიგა ბოკერიასთან და მის ჯგუფთან დაკავშირებული მმართველობა, მივიღეთ გადაწყვეტილება. მორჩა, ძალიან მარტივია. რაც ამ კინკლაობაში ენერგია იხარჯება, აჯობებს მივმართოთ რუსული რეჟიმის წინააღმდეგ.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ „ქართული ოცნება“ საკმაოდ აქტიურ და აგრესიულ წინასაარჩევნო კამპანიაზეა გადასულიო. თქვენ რას იტყვით, თუნდაც ეს კანონების გამკაცრება, რომელსაც ევროკავშირის მოთხოვნის სახელით ნიღბავენ, რას ცდილობენ, რა ჩაიფიქრეს?***

– „ქართული ოცნება“ ცდილობს, ისე ჩააგდოს კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები, რომ პასუხისმგებლობა მას არ დაეკისროს. ეს პასუხისმგებლობა დააკისროს ოპოზიციას, დააკისროს თავად ევროკავშირს, აი ამას აკეთებს. ბორელი ჩამოვიდა ერთი თვის წინ, პირდაპირ ნათლად გვითხრა, რომ რეკომენდაციები არ არის შესრულებული. რეკომენდაციები ჩააგდეს და ახლა უნდა ვიყოთ ევროპელების კეთილი ნების იმედად. გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იქნებ მოგვცენ სტატუსი.

***– რა მოლოდინი გაქვთ? იძლევა დღევანდელი გეოპოლიტიკური სიტუაცია იმის საშუალებას, რომ მივიღოთ სტატუსი?***

– არ ვიცი, რაზე დახუჭავენ თვალს ევროპელები, მაგრამ შესრულებული რომ გვქონოდა, ხომ 100%-ით მივიღებდით?! აი ეს შანსი გვქონდა და ესეც არ გააკეთეს. ჩვენ მაქსიმალურად ვმუშაობთ, რომ მივიღოთ სტატუსი, მაგრამ ხელისუფლება ახდენს ამ გზის ხელის შეშლას. ყველაფერს აკეთებს აბსოლუტურად, იგივე კარვების კანონი ამის ნიშანია, მედიის წინააღმდეგ რეპრესიების კანონი ამის ნიშანია. არც ერთი რეკომენდაცია, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოსთან, არჩევნებთან, ანტიკორუფციულთან, არაფერი არ მიიღეს და არ განუხილავთ.

***– პროცესების როგორ განვითარებას ელით?***

– მე რომ ვიყო საქართველოს 100 ათასი მოქალაქე, გამოვიდოდი ქუჩაში და მანამდე არ დავიშლებოდი, სანამ ხელისუფლება არ გადადგებოდა. მე რომ ვიყო 100 ათასი მოქალაქე, სწორედ ამას გავაკეთებდი!

# „ევროპულ ორბიტას“ დაირქმევენ თუ „საქართველოს გადარჩენის გზას“ ე.წ. ოპოზიცია, მნიშვნელობა არ აქვს“

## ზურაბ ქადაგიძე: „მიხეილ სააკაშვილს თუ რაიმე რეპუტაცია ჰქონდა შერჩენილი, საერთოდ გაქრა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი, ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე პასუხობს.

***– ბატონო ზურაბ, ხათუნა სამნიძემ განაცხადა, რომ ევროპაში ოპოზიციის წარმომადგენლები მოითხოვდნენ და მოითხოვენ, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭოს, ან არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის, ანუ, რეალურად, 2024 წლის დასასრულის, ან 2025 წლისთვის გადაიდოს. ამ განცხადებას თქვენ როგორ აფასებთ?***

– ამაზე ჩვენ ერთი წელია ვსაუბრობთ. ამას ვამბობ, როგორც „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი. პირადად მეც, არაერთხელ გამიკეთებია განცხადება, რომ ეს ადამიანები დადიოდნენ და ქვეყნის საბოტაჟს ახდენდნენ.

ჯერ ერთი, ისინი სტატუსის მიღების პროცესს საბოტაჟს უწყობდნენ, მეორე – მთლიანად ქვეყნის რეპუტაციას ლახავდნენ. მათი ქმედებები აბსოლუტურად საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. ამაში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისინი არაერთხელ პირდაპირ დაადანაშაულეს. ყველამ კარგად იცოდა, ეს ადამიანები რას ემსახურებოდნენ.

დეკანოიძემაც განაცხადა, რომ ოპოზიციაში არიან ადამიანები, რომლებიც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას ღია განცხადებების დროს მხარს უჭერენ, რეალურად, დახურულ შეხვედრებში კი, მხარს არ უჭერენ.

***– ახლა მათი განცხადებები რას ემსახურება, კოლეგებს რატომ ამხელენ?***

– ანუ რატომ დაიწყეს ასეთი კამპანია? ორი ვარიანტია. ერთი – ძალიან დიდი ალბათობით, ევროკავშირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უდიდესი შეცდომა იქნება შარშანდელი უსამართლობის გამეორება. შესაბამისად, გადაწყვიტეს, ყოველ მიზეზ გარეშე საქართველოს სტატუსი მისცენ.

ეს ამ ადამიანებმა ძალიან კარგად იციან და ახლა ცდილობენ, თეთრი ყვავების როლში გამოვიდნენ. თქვან, მე, პირიქით, დავდიოდი და ღიად ვუჭერდი მხარსო.

არის მეორე ვარიანტიც – თუკი ხვალ იქნება ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოს სტატუსი არ მიანიჭონ, იტყვიან, ხომ გეუბნებოდითო და ახალ კამპანიას დაიწყებენ – ვეცადეთ, რაღაც პირობით ეს პროცესი გადაგვევადებინაო.

სამნიძეები, სამადაშვილები, დეკანოიძეები, ყველა რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები არიან, კოლექტიური ნაცმოძრაობაა, რომლებიც საქმით საქართველოს საწინააღმდეგოდ მუშაობენ. ყველა მათი გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული.

აქედან გამომდინარე, თავს ვერავინ გაითეთრებს. ევროპაში დადიოდნენ და საქართველოს წინააღმდეგ მუშაობდნენ. რადგან ახლა შანსი გაჩნდა, რომ ევროკავშირმა სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს და კანდიდატის სტატუსი უპირობოდ მოგვანიჭოს, ცდილობენ, რაღაც პროცესებს გაემიჯნონ, რათა ყველანაირი რეპუტაციული ზიანი (თუ რამე დარჩენიათ) არ მიიღონ.

***– სანიკიძემ თქვა, თუ საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს, ე.ი. ერმა მიიღოო და არა საზოგადოებამო. ერი და საზოგადოება ერთმანეთისაგან გამიჯნა.***



– გამიჯნონ. ერთმანეთსაც გაემიჯნონ. თუმცა, ერთმანეთსაც რომ გაემიჯნონ, მნიშვნელობა არ აქვს, რას გააკეთებენ, ნულს მიმატებული ნული არის ნული. რამდენიც უნდა ისაუბრონ, რეალურად, აბსოლუტურად ყველა შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება ძალიან ადეკვატურად და სწორად იქცეოდა.

თუკი გარკვეული საერთაშორისო აქტორების მხრიდან ინსინუაციური და პროვოკაციული დამოკიდებულება არ იქნება, საქართველომ წელს კანდიდატის სტატუსი სამართლიანად აუცილებლად უნდა მიიღოს, რომელიც შარშანაც გვეკუთვნოდა. გინდ საქართველოს ხელისუფლებას დააბრალონ, გინდ – ქართველ ხალხს, საბოლოო ჯამში, საქართველო ბენეფიტს მიიღებს.

***– როგორ ფიქრობთ, სტატუსის მიღების შემდეგ, „ოცნების“ ხელისუფლებას „რუსულ ხელისუფლებას“ კიდევ დაუძახებენ?***

– ამას მნიშვნელობა არ აქვს. ისინი გაიდლაინებით და კონკრეტული ნარატივებით ხელმძღვანელობენ და დავალებებს ასრულებენ. ამიტომ გლობალური ომის პარტიის დავალება თუ მოუვათ, ვთქვათ, ყურებზე გაიარეთო, ყურებზეც გაივლიან და ცალ ფეხზეც იხტუნავებენ.

***– სამნიძისა და დეკანოიძის განცხადებები ოპოზიციაში რაიმე დისონანსს შეიტანს?***

– ეს არის მცდელობა, თვითონ ოპოზიციაშიც გამოხშირონ პერსპექტივა, თანამშრომლობა ვისთან შეიძლება. ვინც ამ ნარატივს აჰყვება, საბოლოო ჯამში, ერთად დაჯგუფდებიან, ვინც ამ ნარატივს არ აჰყვება, მათ გარიყავენ და გაამარგინალებენ. ეს მათი შიდა სამზარეულოს ამბავია.

სამნიძეები და დეკანოიძეები რაც უნდა ეცადონ თეთრ ყვავობას, მნიშვნელობა არ აქვს, საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, ამ ქვეყანას ვინ მტრობს, ვინ მტრობდა და მომავალში ვინ უმტრობს.

***– რას მისცემს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს დეკანოიძეს, სამნიძესა და მისთანებთან კავშირი?***

– ლოგიკურად რომ შევაფასოთ, ნაცმოძრაობა მთავარი ოპოზიციური ძალაა და ოპოზიციაში ყველაზე მეტი მანდატი მას აქვს, ხაბეიშვილ-ვაშაძის ტაკიმასხარაობისა და მათი მარგინალი გადაწყვეტილების კვალდაკვალ, ნაცმოძრაობა სრულდება. მიხეილ სააკაშვილს თუ რაიმე რეპუტაცია ჰქონდა შერჩენილი, საერთოდ გაქრა.

ნაცმოძრაობას სამნიძე სიაში ჰყავდა ჩასმული. ახლა ბარიერის გადალახვა შეიძლება ნაცმოძრაობასაც გაუჭირდეს. ამიტომ ახალი ცენტრის შექმნის მცდელობაა. არის ვარიანტი, რომ სალომე ზურაბიშვილის გარშემო შეგროვდებიან. არის ვარიანტი, რომ სალომე ზურაბიშვილს, გახარიასა და ლომჯარიას მოლაპარაკება აქვთ და ერთი ცენტრი ჩამოაყალიბონ, მაგრამ ნულს რომ ნული მივუმატოთ, ნულია. „ევროპულ ორბიტას“ დაირქმევენ თუ „საქართველოს გადარჩენის გზას“, მნიშვნელობა არ აქვს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი

## დაკავებული პოლიციის უფროსი ბრალს აღიარებს

კონტრაბანდაში ბრალდებულმა პოლიციელმა ბრალი აღიარა. იოსებ გელაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.



აგარის პოლიციის უფროსის დაკავების შესახებ გუშინ გახდა ცნობილი. გამოძიება მას იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას და უაქციზო სიგარეტის შემოტანას ედავება. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილებით დაიწყო. შსს-ს ცნობით, ჩხრეკის შედეგად ამოღებულია უაქციზო სიგარეტი, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდები და ფული.

გელაშვილს კონტრაბანდული სიგარეტი, სავარაუდოდ, ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოჰქონდა.

## სისხლიანი გარჩევა დიდ დიღომში

დიდი დიღმის ტერიტორიაზე მოქალაქე დაჭრეს. დაჭრილი კლინიკაში გადაიყვანეს. მას ჭრილობა ფეხის არეში აქვს მიყენებული.

გამოძიება სსკ-ის 120-ე მუხლით დაიწყო

## მარნეულის ერთ-ერთ სოფელში მერვეკლასელი გოგონა დანიშნეს

„რადიო მარნეული“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში არასრულწლოვანის ნიშნობის ფაქტი გამოვლინდა. მედია ამბობს, რომ ნიშნობის ფაქტი მერვეკლასელი გოგოს სკოლის დირექტორმა დაადასტურა.



– ინფორმაცია გადაცემულია შესაბამის ორგანოებში და მშობელი გამოძახებულია სკოლაში. ბავშვი სკოლას არ აცდენდა და თავადაც თქვა, რომ სკოლაში სიარულს გააგრძელებს, – ამბობს სკოლის დირექტორი. მათივე ცნობით, მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს.

## ქართველმა გერმანიაში სიგარეტი მოიპარა

გერმანიაში საქართველოს მოქალაქე სიგარეტის ქურდობისა და მანქანის გატეხისთვის დააკავეს, ის ლუდვიგსლუსტის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. 37 წლის ქართველთან ერთად, კიდევ ერთი პირი იმყოფებოდა, თუმცა მან მიმალვა მოახერხა.

გავრცელებული ინფორმაციით, გაქცეულ შუახნის კაცს ცეცხლსასროლი იარაღი აქვს. როგორც გერმანული მედია წერს, მან გაქცევა მალისსა და ნეუ კალისს შორის არსებულ ტყეში მოახერხა. მედია წერს, რომ გაქცეულ კაცს ლურჯი სპორტული ტანსაცმელი ეცვა.

## ავარია ახმეტაში – დაიღუპა ორი ადამიანი

ახმეტა-ალვანის დამაკავშირებელ გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას 2 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. გავრცელებული ინფორმაციით, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და გადაბრუნდა.




ავტომობილში 6 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის არასრულწლოვანები. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# „სტატუსს მოგვცემენ, რუსეთთან მარტო არ დაგვტოვებენ“

### ლევან ალაფიშვილი: „მმართველ პარტიას ერთპიროვნულად ძალაუფლების შენარჩუნება გაუჭირდება. „ქართული ოცნება“ წვალობს, მაგრამ არ უმართლებს, რომ ისეთი სატელიტი პარტიები „გამოჩეკოს“, რომლებიც გაჭირვების ჟამს წაეშველება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებზე საუბრობს.



***– ბატონო ლევან, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსთან დაკავშირებით გაირკვა, რომ ოპოზიციის ნაწილი ევროპელ ლიდერებს სტატუსის მიღების გადავადებას სთხოვს. რაც ითქვა, არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს ევროკავშირში. როგორ ფიქრობთ, სტატუსს მივიღებთ?***

– საქართველო ფორმალურად ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიიღებს. მივიღებთ არა იმიტომ, რომ ვიმსახურებთ და 12-პუნქტიანი გეგმა ზედმიწევნით კარგად შევასრულეთ. არა, მივიღებთ იმიტომ, რომ რუსეთთან მარტო არ დაგვტოვებენ. ევროკავშირში შესანიშნავად იციან, რას ნიშნავს ახლა ამ გადაწყვეტილების არმიღება, რომ ეს იქნება პირდაპირ რუსეთის გამარჯვება რეგიონში. ამას არ დაუშვებენ. ამიტომ სტატუსს მოგვცემენ ხელისუფლებისთვის ძალიან მძიმე ვალდებულებებითა და დათქმებით. ისე აღარ იქნება, რომ ეს ვალდებულებები აღარ შესრულდეს.

აუცილებელი იქნება სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირება. აუცილებელი იქნება რეალურად აღმოფხვრილი იყოს კორუფცია. აუცილებელი იქნება საარჩევნო სისტემის ცვლილება. მაშინ მართლაც იქნება 12-პუნქტიანი გეგმა შესასრულებელი ხელისუფლების მხრიდან. სტატუსს მოჰყვება ძალიან მძიმე ვალდებულებები. ამ პასუხისმგებლობას კი ხელისუფლება ვერ გაექცევა.

***– თქვენ ამბობთ, რომ ევროკავშირი პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს.***

– დიახ, ეს პირველ რიგში პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება. შეიძლება ძალიან არ მოსწონთ და ძალიან არ უხარიათ ორბანის შემდეგ ახალი თავსატეხის გაჩენა, მაგრამ ევროკავშირს ახლა, ამ მოცემულობაში, გლობალური პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, სხვა გამოსავალი არა აქვს.

ამდენად, ეს არ იქნება არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის დამსახურება. ეს უფრო რუსეთის „დამსახურება“ იქნება. ცხადია, ქართველი ხალხის დამსახურება, რომელიც თვლის, რომ მისი ადგილი ცივილიზებულ სამყაროშია, ცივილიზებულ ევროპულ ოჯახშია და არა – ჩრდილოეთში. რიგითი მოქალაქეები, როგორც გვიწოდებენ ხოლმე სხვადასხვა ხელისუფლებები, წყვეტენ ამ ქვეყნის მომავალსაც და იმასაც, არჩევნების გზით თუ ვის უნდა ანდონ სამართავად ეს ქვეყანა.

***– არჩევნები ახსენეთ. 2024 წელს არ არის მორიგი არჩევნები. ამ არჩევნების შედეგები განსაზღვრავს, „ოცნება“ რჩება კიდევ ერთი ვადით ხელისუფლებაში თუ ახალი ხელისუფლება მოდის. როგორია თქვენი პროგნოზი?***

– დღევანდელი მოცემულობით, მმართველ პარტიას ერთპიროვნულად ძალაუფლების შენარჩუნება გაუჭირდება. „ქართულ ოცნებას“ გარკვეული მანევრი დასჭირდება, რომ ხელისუფლება შეინარჩუნოს. ამიტომ ის ცდილობს, მე ვიტყოდი, წვალობს, მაგრამ არ უმართლებს, რომ ისეთი სატელიტი პარტიები „გამოჩეკოს“, რომლებიც გაჭირვების ჟამს წაეშველება „ქართულ ოცნებას“. ასეთი სამი მცდელობა უკვე იყო, მაგრამ, ამაოდ! ეს პარტიები დიდად პოპულარულები ვერ არიან იმ ხალხშიც კი, რომლებიც ერთ დროს „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები იყვნენ. ამ „გამოჩეკილი“ პარტიების დანიშნულება მხოლოდ ერთია: არჩევნების დღეს მათზე განაწყენებული თუ გაბრაზებული ამომრჩეველი სახლში არ დატოვოს. უარეს შემთხვევაში, მათი ხმები ოპოზიციის ყულაბაში არ წავიდეს.

საჭიროების შემთხვევაში კი, მათთან შექმნილი კოალიციური მთავრობით, კიდევ ერთხელ შეეცდება ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში დარჩენას. ეს უკვე კარგად აპრობირებული მეთოდია. 2011 წელს ასე, ასეთი კოალიციით მოვიდა ხელისუფლებაში ივანიშვილი, სადაც გვერდიგვერდ მშვენივრად თანაარსებობდნენ პრორუსიც და პროევროპელიც.

***– რაც შეეხება ოპოზიციურ ფლანგს, წინასაარჩევნოდ გარკვეული გადაჯგუფება არის მოსალოდნელი ან ახალი ძალის გამოჩენა?***

– დღევანდელი მდგომარეობით, ოპოზიციური ფლანგი ძალიან სუსტია. ვერ გეტყვით, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ისინი გაძლიერდნენ. პრობლემა უფრო სისტემურია. რეალურად არსებობს არა პოლიტიკური პარტიები, არამედ კლუბები, რომლებსაც ადამიანები აფუძნებენ და სუბიექტური შეხედულებებით მართავენ. პარტია კი სრულიად საპირისპიროს გულისხმობს. მხარდამჭერებთან, იდეურ მოკავშირეებთან, ამომრჩეველთან ურთიერთობა, მათი ჩართულობით გადაწყვეტილებების მიღება, ეს პროცესიდან იგნორირებულია. მხოლოდ წინასაარჩევნოდ ხმების თხოვნა, ამით შემოიფარგლება ეს კომუნიკაცია. ასეთია მმართველი პარტიაც, არაფრით არ განსხვავდება სხვა პარტიებისგან. ერთადერთი განსხვავებაა, მას აქვს სახელისუფლო ბერკეტი.

ერთადერთი, რაც შეიძლება განსხვავებული იყოს და რაც შეიძლება ქვეყანას, სახელმწიფოს, მის დემოკრატიულ განვითარებას წაადგეს, ეს არის პრეზიდენტების გიორგი მარგველაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის გაერთიანება. უფრო კონკრეტულად კი, ერთობლივი მოქმედება, ოღონდ ზეპარტიული გაერთიანება, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა საქართველოს ევროკავშირში, დასავლეთში ინტეგრაციაზე.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ამ ქვეყანაში დასრულდა ის დრო, როცა პრეზიდენტს ეგონა, რომ კანონსა და კონსტიტუციაზე მაღლა იდგა“

### „სტატუსს როცა მიიღებს ქვეყანა, რა თქმა უნდა, ეს იქნება ჩვენი ხელისუფლების დამსახურება ქართველ ხალხთან ერთად“

– ამ ქვეყანაში დასრულდა ის დრო, როცა პრეზიდენტს ეგონა, რომ კანონსა და კონსტიტუციაზე მაღლა იდგა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სალომე ზურაბიშვილისგან მოქალაქეების ნაწილს ჰქონდა მოლოდინი, რომ ქართულ პოლიტიკაში ევროპულ სტანდარტს შემოიტანდა, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა იცავს კანონს და კონსტიტუციას.

– რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას, მინდა ვთქვა, რომ ეს, რა თქმა უნდა, ეს არის სამწუხარო ფაქტი, ვინაიდან სამწუხაროდ, დადასტურდა; რომ ქვეყნის, ჩვენი სახელმწიფოს მეთაური, ქალბატონი სალომე დადასტურებულად არის კონსტიტუციის დამრღვევი. ეს, რა თქმა უნდა, მე, როგორც ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და როგორც რიგით მოქალაქეს, ნამდვილად არ მიხარია. მე არ მინდა, რომ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი იყოს კონსტიტუციის ან ნებისმიერი კანონის დამრღვევი.

ეს არის სამარცხვინო ფაქტი, მეგობრებო. მე, რა თქმა უნდა, კომენტარს არ გავაკეთებ მის გამონათქვამებზე. გვეტყობა ჩვენ, რომ ვნერვიულობთ ან გვეშინია ვინმეს ოპოზიციონერობის?! მე შევახსენებ ყველას, რომ სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა 1%-იანი რეიტინგი, როცა იყო ოპოზიციაში. „ქართულმა ოცნებამ“ მოიყვანა ეს ადამიანი და დასვა პრეზიდენტად „ქართული ოცნების“ რეიტინგის დამსახურებით, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, პრეზიდენტი შეთანხმებული მოქმედებს ოპოზიციასთანაც.

– როგორც ჩანს, ქალბატონი სალომე ძალიან მოწყენილია, იმიტომ, რომ მას უმთავრდება პრეზიდენტობის ვადა და უნდა პოლიტიკაში დარჩენა, მე ასე ავხსნიდი, რომ ყველაფერი უკავშირდება მის ამ სურვილს, რომ უნდა დარჩენა პოლიტიკაში, მისი აფილიაცია, კოორდინაცია და შეთანხმებული მოქმედებები ოპოზიციასთანაც მხოლოდ ამას ადასტურებს, მე მეტი კომენტარის კეთება აღარ მსურს, ჩვენ ძალიან ბევრი საქმე გვაქვს, მინდა ყველას წარმატებები ვუსურვო, – განაცხადა პრემიერმა.




ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე უპასუხა კითხვას, იმპიჩმენტის საკითხი იქონიებს თუ არა რაიმე გავლენას კანდიდატის სტატუსზე.

– ყველაფერი კარგად იქნება. არავითარი გავლენა, რას ნიშნავს გავლენა ექნება ამას?! ეს არის ჩვენი ქვეყნის ღირსების საკითხი, ჩვენ ვალდებული ვართ, რომ დავიცვათ ჩვენი კონსტიტუცია და ჩვენი კანონი, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პოზიტიურია თუ არა ეს სიგნალი ბრიუსელისთვის?

– პოზიტიური არის იმ კუთხით და იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ვართ მაგალითის მიმცემნი კანონის დაცვის და კონსტიტუციის დაცვის, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოს მთავრობა სისტემატიურ კოორდინაციაში იმყოფება ევროპელ მეგობრებთან და კოლეგებთან.

– ეს პროცესი იყო, მოგეხსენებათ, ძალიან გამჭვირვალე, ღია. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრი ხელისშემშლელი გარემოება არსებობდა, ძალიან ბევრი საბოტაჟი თუ ასე ვთქვათ, ძალიან ბევრი ხელოვნური ბარიერები იქნა შექმნილი ოპოზიციის მხრიდან, მაგრამ საბოლოო ჯამში, დღეს ვართ იმ მდგომარეობაში, მე არ მინდა წინასწარ დავასწრო მოვლენებს და წინასწარ რაიმე დავაანონსო, მაგრამ ჩემი მოლოდინი არის შემდეგი: ვითვალისწინებ რა ჩვენ მიერ გაკეთებულ საქმეებს, ასევე გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ვითარებას, რომელიც შექმნილი არის მსოფლიოში, ასევე ვითვალისწინებთ რა იმ პრეცედენტებს, რომელიც უკვე შეიქმნა, შარშან მოლდოვას მისცეს, ასევე უკრაინას და ბოსნია-ჰერცოგოვინას, რომელთაც საკმაოდ დიდი ჩამორჩენა ჰქონდათ და დღესაც აქვთ, შედარებით საქართველოსთან, მე დიდი ოპტიმიზმით ველოდები ჯერ 8 ნოემბრის გადაწყვეტილებას და შემდეგ უკვე დეკემბერში იქნება საბოლოო გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, მე არ მინდა ამაზე მეტი ვუთხრა ჩვენს ხალხს, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მთავრობა აქარწყლებს ნეგატიურ ნარატივს და დეზინფორმაციას, რომელიც მოედინება დედაქალაქიდან.

– საერთოდ ძალიან უსუსურად გამოიყურება მთელი ეს ოპოზიცია. ისინი ამბობენ, თუ მიიღებს სტატუსს ქვეყანა, როგორც ჩანს, მათ იციან, რომ მართლაც რაღაც პოზიტიური დინამიკაა და რაღაც ხდება, პოზიტიური მოლოდინი არსებობს, თუმცა მე არ მინდა, კიდევ უფრო მეტი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ვაშინგტონში მიხვდნენ, რომ რუსეთის მხრიდან ბირთვული საფრთხე მოჩვენებითია“

## აფხაზეთში საზღვაო ბაზასთან დაკავშირებული რუსეთის განზრახვები უსაფრთხოების საკითხებს ამწვავებს

მარიამ მჭედლიშვილი



იმ ფონზე, როცა ოკუპანტი რუსეთი ოჩამჩირეში ამზადებს თავისი სამხედრო გემების განსათავსებელ ბაზას და გაჩნდა პანიკა რუსეთის მიერ მეორე ფრონტის პროვოცირებაზე, საქართველოსთვის არსებითია უსაფრთხოების პრობლემა. განსაკუთრებით, უკრაინის ფრონტზე არსებული მდგომარეობა.

როგორც ჩანს, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო უკრაინის ომის გაყინვა (ამაზე ბევრი ვარაუდი გამოითქვა) არ ხდება. აშშ-მ, როგორც იქნა, უკრაინას გადასცა შორ მანძილზე მოქმედი რაკეტები. მოხდება თუ არა გარღვევა უკრაინისათვის შეიარაღების მიწოდებაში? არსებობს თუ არა დასავლეთში შიში პუტინის მიმართ? ამ და სხვა საკითხებზე აზრს გამოთქვამენ ამერიკელი სამხედრო ექსპერტი სტივენ ბლანკი და ამერიკელი სოციოლოგი სერგეი ეროფეევი.

**სტივენ ბლანკი:**

– უკრაინისათვის რაკეტები (ამერიკელებს) ერთი წლის წინ უნდა გადაეცათ. უკრაინა გახდა რუსეთის მხრიდან არაპროვოცირებული აგრესიის მსხვერპლი. მას აქვს უფლება და ვალდებულება, თავი დაიცვას, აშშ-ს კი აქვს უფლება, მოკავშირეებს გაუგზავნოს იარაღი ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში უკრაინის გამარჯვება აგრესორზე საყოველთაო ინტერესს შეესაბამება. ჟურნალ „ნიუ იორკერის“ მონაცემებით, კიევისთვის ყველაზე ეფექტიანი შეიარაღების გაგზავნის მთავარი ოპონენტი პრეზიდენტი ბაიდენი იყო. ვატყობ, რომ ამჟამად მისი შეხედულება შეცვლილია. ეტყობა, ვაშინგტონში ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე მოჩვენებითია. პუტინს ესმის, რომ ამ იარაღის გამოყენება დაასრულებს მის მმართველობას.

უკრაინას რომ სერიოზული შეიარაღება ერთი წლის წინ მიეღო, ბრძოლის ველზე სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა, რუსეთი ვერ მოასწრებდა ძლიერი თავდაცვითი ხაზების მოწყობას, ვერც გიგანტური ტერიტორიების დანაღმვას. მაინც დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის არმია განწირულია მარცხისათვის.

***– ეს გახდა გამოფიტვის ომი?***

– გამოფიტვის ომები გაჭიანურებულია. ისინი, როგორც წესი, მოულოდნელად მთავრდება. ასეთი მაგალითები ისტორიაში მრავლადაა. მაგალითად, სამოქალაქო ომი აშშ-ში მეცხრამეტე საუკუნეში და პირველი მსოფლიო ომი. ახლა უკრაინის არმია ძლიერდება. ის თანამედროვე შეტევით შეიარაღებას იღებს. გაზაფხულისთვის, ალბათ, უკრაინა მიიღებს დასავლურ საბრძოლო თვითმფრინავებს. ამ დროს რუსეთი იძულებულია დაეყრდნოს ჩრდილოეთ კორეასა და ირანს. ამასთან, რუსეთს არ გამოაქვს ოპერატიული, ტაქტიკური და სტრატეგიული დასკვნები საკუთარი შეცდომებისა და ჩავარდნებიდან. უკრაინის გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ. ამერიკის დახმარება უკრაინის მიმართ ურყევია.

**სერგეი ეროფეევი:**

***– ითვლება, რომ პრეზიდენტ ბაიდენს არ უნდოდა პუტინის პროვოცირება, მას აფრთხობდა ბირთვული იარაღის გამოყენება. ეს შიში გაქარწყლებულია?***

– შიში პუტინის მიმართ იფანტება, მაგრამ სრულად არა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ დასავლეთი სრულად დაწყნარდა და მზადაა უკრაინას გვერდით დაუდგეს პუტინის ბოლომდე დასამარცხებლად. დასავლეთს ეშინია ესკალაციის. ბირთვული იარაღის გამოყენებაზე ამჟამად ნაკლებად საუბრობენ. ეს ხდება ან იმის გამო, რომ დასავლეთს ესმის, რომ პუტინი ამ იარაღს არ გამოიყენებს, ან იმიტომ, რომ დასავლეთი დაიღალა ამაზე საუბრით.

***– ეს შიში გაზვიადებულია, ვინაიდან დასავლეთში ვერ იგებენ ვლადიმირ პუტინის ქმედებების რეალურ მოტივებს?***

– ამაზე ძალიან ცოტას საუბრობენ. მგონია, რომ ამაზე ძალიან ცოტა რამ ესმით. ისევ არის გავრცელებული წარმოდგენა, თითქოს პუტინი დაკავებულია მსოფლიოს გადაწყობით. სინამდვილეში, ეს ასე არ არის. დარწმუნებული ვარ, რომ პუტინისა და მისი უახლესი გარემოცვის მთავარი მოტივაციაა ძალაუფლების შენარჩუნება. უკრაინაში ომი ამის გამო დაიწყო. ამის გამო თესავს პუტინი ქაოსს ყველგან, სადაც შესაძლებელია. მაგალითად, აფრიკაში, სირიაში და სხვა. პუტინისთვის კიდევ ერთი (უფრო ნაკლები) მოტივაციაა სწრაფვა გამდიდრებისაკენ. ყველაზე ნაკლები მოტივაციაა, რაღაც დიადი რუსეთის ჩამოყალიბება.

***– როცა პუტინის მხრიდან თავის გადარჩენის ინსტინქტის გამოვლენაზე ვლაპარაკობთ, ხომ არ გადავდივართ სოციოლოგიის სფეროდან ფსიქოანალიზის სფეროში?***

– კულტურულ საფუძვლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. პუტინის ქმედებები რომ გავიგოთ, უნდა გავიაზროთ მაფიოზური კულტურა. პუტინი მასთანაა დაკავშირებული. ეს არის ატავისტური, ანაქრონისტული კულტურა.

ახლა, უკრაინის გარდა, ომი მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთში. მათ შორის პრინციპული განსხვავებაა. „ჰამასი“ წარმოადგენს წარსულს, ტრადიციონალიზმს. „ჰამასს“ აქვს მკაფიო იდეოლოგიური სისტემა. პუტინის მაფიოზური მმართველობაც წარსულია, მაგრამ არანაირი იდეოლოგია არ გააჩნია. პუტინისთვის მთავარია ძალაუფლების დაკარგვის შიში.

***– ვიცი თქვენი მოსაზრება პოსტპუტინურ პერიოდზე. მიიჩნევთ, რომ პუტინის მემკვიდრეს მოუწევს რეჟიმის ლიბერალიზაცია. იქნებ ყველაფერი შეტრიალდეს და პუტინის მემკვიდრე უფრო ოდიოზური ფიგურა გახდეს?***

– ახლანდელი რეჟიმი რუსეთში პერსონალისტურია. ის ემყარება ბატონ პუტინს. სხვებს არც ლეგიტიმურობა აქვთ და არც რესურსები საიმისოდ, რომ ასეთი მმართველობა შეინარჩუნონ. პუტინის შემდეგ მხოლოდ უკეთესი მმართველი იქნება.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ამ ქვეყანაში დასრულდა ის დრო, როცა პრეზიდენტს ეგონა, რომ კანონსა და კონსტიტუციაზე მაღლა იდგა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ვთქვა. წინასწარ თავს იზღვევენ და ასეთი უსუსური გამართლება აქვთ, რომ ხალხმა უნდა მიიღოს. უკაცრავად და, ხალხის არჩეული მთავრობა ვართ ჩვენ, ხალხის დაკვეთას ვასრულებთ ჩვენ, მთავრობა. ხალხის დაკვეთა იყო, როცა ჩვენ და მე პირადად, მქონდა ის ბედნიერება, რომ ხელი მოვაწერე ასოცირების შეთანხმებას, მივიღეთ უვიზო რეჟიმი, მოვაწერეთ ხელი თავისუფალ ვაჭრობას და ევროპული პერსპექტივა მივიღეთ, რომელზეც ვერ იოცნებებდა ვერც სალომე ზურაბიშვილი, ვერც ოპოზიცია და ვერც ვერავინ ქვეყანაში. ეს ყველაფერი გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ და ჩვენმა ხელისუფლებამ. სტატუსს როცა მიიღებს ქვეყანა, რა თქმა უნდა, ეს იქნება ჩვენი ხელისუფლების დამსახურება ქართველ ხალხთან ერთად, ვინაიდან ჩვენ ვმოქმედებთ ქართველი ხალხის სახელით და ქართველი ხალხისთვის. ეს მინდა მკაფიოდ ვთქვა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, მთავარი ყურადღება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის მშვიდობის შენარჩუნებაზე, სტაბილურობის განმტკიცებაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობაზე.

მთავრობის მეთაურის თქმით, ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა საქართველოში, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი 10 პროცენტზე მეტი იყო 2021 და 2022 წლებში.

პრემიერის განცხადებით, საქართველოს მთავრობა გლობალურ პარტნიორებთან და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან მუშაობს, რათა ქვეყანა გადააქციოს რეგიონულ სატრანსპორტო, ლოგისტიკურ და ციფრულ ცენტრად.

– ძალიან კარგი შეხვედრა მქონდა ამერიკის ახალ ელჩთან ქალბატონ დანიგანთან, მინდა გაგიზიაროთ ჩემი შეხედულება და პირველი შთაბეჭდილება, რომელიც არის უაღრესად პოზიტიური, ამ ადამიანის მიმართ და მე მანამდეც ვთქვი და აღვნიშნე, რომ ჩვენ დიდი ოპტიმიზმით ველოდებოდით მის ჩამობრძანებას და მე ვფიქრობ, რომ მანამდე რაც იყო ეს ნეგატიური, ასე ვთქვათ უსიამოვნო ფაქტები, არ ემსახურებოდა არც ამერიკის და არც საქართველოს ინტერესებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიუსელში ჟურნალისტებს განუცხადა.

კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა.

* * *

– მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი მონაწილეობა დღევანდელ ფორუმში არის ძალიან მნიშვნელოვანი. მე აქ ჩამოვედი ქალბატონი ურსულა ფონ დერ ლაიენის მოწვევით და ჩვენ აქ წარმოვაჩენთ საქართველოს, – განუცხადა ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს.

მთავრობის მეთაურის თქმით, ფორუმზე ძირითადი აქცენტი გაკეთდა ტრანსპორტის, ენერგეტიკის და დაკავშირებადობის თემატიკაზე.

ეკონომიკა

# ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარს ოლივერ ვარჰეის შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „გლობალური კარიბჭის ფორუმის“ გახსნას დაესწრო.

ფორუმი ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა გახსნა.

ღონისძიებაზე სიტყვით ასევე გამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები.

ფორუმის ფარგლებში გამართულ სამუშაო პანელზე – „სატრანსპორტო დერეფნები“ – პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მთავარი მომხსენებელი იქნება.

ფორუმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკომისიის პრეზიდენტმა – ურსულა ფონ დერ ლაიენმა მიიწვია.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარს ოლივერ ვარჰეის შეხვდა.

ბრიუსელში პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პროცესზე იმსჯელეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ოლივერ ვარჰეის 12 რეკომენდაციის შესრულების მიზნით მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

პრემიერ-მინისტრმა ოლივერ ვარჰეისთან შეხვედრაზე ხაზი გაუსვა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა, რომ 12 პრიორიტეტით გათვალისწინებული რეფორმების შესასრულებლად, საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა სათანადოდ აისახება ევროკომისიის ანგარიშში და ევროკომისია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციას გასცემს.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის დღის წესრიგის ძირითადი მიმართულებები და ის რეფორმები, რომლებიც ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განახორციელა ქვეყანამ. ყურადღება გამახვილდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე.

ირაკლი ღარიბაშვილმა და ოლივერ ვარჰეიმ უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებზე მოსაზრებები გაცვალეს.

პრემიერ-მინისტრმა ევროკომისარს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა.

# დასაქმებულთა 18.6% სექტემბერში 600 ლარზე ნაკლებ ხელფასს იღებდა



2023 წლის სექტემბერში, ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ თვიურ ხელფასს, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3.9%-ით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 4.6%-ით არის გაზრდილი – სტატისტიკური მონაცემები PMCG-მ გამოაქვეყნა.

2023 წლის სექტემბერში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 0-დან 600 ლარამდე თვიურ ხელფასს, 18.6%-ს შეადგენდა, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 4.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 10.4 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია.

2023 წლის სექტემბერში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 2,400 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს, 22.6%-ს შეადგენდა, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 4.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 8.4 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.

2023 წლის სექტემბერში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 9,600 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს, 1.9%-ს შეადგენდა, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 0.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 0.7 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.

PMCG-ის დასაქმების ტრექერის მიხედვით კი, 2023 წელს, აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით, ჯობს.გე-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების საშუალო წლიურმა ზრდამ 5.7% შეადგინა, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 32.6 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია.

აღნიშნულ პერიოდში 8,178 ვაკანსია გამოქვეყნდა ფინანსების, სტატისტიკის კატეგორიაში, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 28.0%-ით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 83.1%– ით გაზრდილი მაჩვენებელია.

2023 წელს, აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით, 11,580 ვაკანსია გამოქვეყნდა გაყიდვების, შესყიდვების კატეგორიაში, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7.0%-ით ნაკლები, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 52.8%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

2023 წელს, აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით, 10,438 ვაკანსია გამოქვეყნდა ადმინისტრაციის, მენეჯმენტის კატეგორიაში, რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 19.1%-ით, ხოლო 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 56.7%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

# წლის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 1%-მდე გაიზრდება – საქართველოს ეროვნული ბანკი




წლის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 1%-მდე გაიზრდება. ამის შესახებ ეროვნული ბანკის, ოქტომბრის „მონეტარული პოლიტიკის ანგარიშშია“ აღნიშნული.

რაც შეეხება მომდევნო წელს, სებ-ის პროგნოზით, ნაწილობრივ საბაზო ეფექტის გათვალისწინებითაც, ინფლაცია მიზნობრივ დონეს გადააჭარბებს და წლის მეორე ნახევარში მის გარშემო დასტაბილურდება.

– საბაზო პროგნოზით, მოკლევადიან პერიოდში ინფლაცია მის მიზნობრივ დონეზე დაბლა შენარჩუნდება, თუმცა იგი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ამას წინა კვარტალში მოველოდით. კერძოდ, წლის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 1%-მდე გაიზრდება, ხოლო მომდევნო წელს, ნაწილობრივ საბაზო ეფექტის გათვალისწინებითაც, მიზნობრივ დონეს გადააჭარბებს და წლის მეორე ნახევარში მის გარშემო დასტაბილურდება.

მწვავე გეოპოლიტიკური მდგომარეობა გლობალურად არასტაბილურ გარემოს ქმნის და ინფლაციის პროგნოზის გარშემო დამატებით გაურკვევლობას აჩენს. არსებულ შოკებს დაემატა გეოპოლიტიკური არასტაბილურობის ახალი ფაქტორი, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტის სახით, – აღნიშნულია ანგარიშში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ დათხარეს თვალები ოტია მიქელაძეს?

**დასავლეთ საქართველოში დადიანებთან ერთად პირველობისთვის იბრძოდნენ თავადი მიქელაძეები. მათი დახმარებით იმერთა მეფე დადიანებს ტყვედ ჩაუვარდა. ინტერვიუ ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა. გვესაუბრებიან იური ჩიქოვანი და იოსებ ბიჭიკაშვილი.**

***– თავად მიქელაძეთა როლი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია. საიდან იწყება მათი ისტორია?***

– თავადი მიქელაძეები საქართველოს წარჩინებულ საგვარეულოს მიეკუთვნებიან. იოანე ბატონიშვილი მათი წარმოშობის შესახებ წერს, რომ მიქელაძე ვანის თავადი იყო. „მიქელ მთავარი იყო მოსახლე ვანისა და აზრუმის საშუალ ადგილისა. ესე მიქელ მსახურობდა ალექსი კეისარსა, რომელსაც თავისი და მისცა ცოლად“. 1085 წელს თურქთა მიერ დაპყრობის შემდეგ მათი გვარი იმერეთს დაემკვიდრა და მეფემ თავადებად მიიღო, ხოლო მათი მეორე ნაწილი – მიქელაშვილები აზნაურები გახლდნენ. პირველნი ცხოვრობდნენ იმერეთში, მეორენი – ქართლში. ქართულ ისტორიულ წყაროებში ამ გვარის შესახებ ცნობები მე-14 საუკუნიდან გვხვდება. პირველად ისინი მოიხსენიებიან ლიხთ-იქითის (იმერეთის) მეფე მიქელის 1326 წლის სიგელში, სადაც იხსენიება მანგასარ მიქელაძე. ზუსტად ამავე წელს მანგასარი ცოცხალი აღარაა, იგი რომელიღაც ომში ვინმე ჭარელიძეს შეაკვდა.

***– სად იყო მიქელაძეთა რეზიდენცია?***

– თავად მიქელაძეთა რეზიდენცია სოფელ კულაშში იყო. იმ ადგილზე, რომელსაც ჯვარცმის მინდორს უწოდებენ, მდებარეობდა მიქელაძეების სასახლე, ეკლესია, რომელიც ასევე ჯვარცმის სახელზე იყო აშენებული, აქვე იყო მათი ციხესიმაგრე. სწორედ ჯვარცმის ეკლესია ითვლებოდა მათ საძვალედ. მიქელაძეთა სათავადო მე-15 საუკუნის ბოლოს, საქართველოს დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა. მათ საგვარეულოს იმერეთის სამეფოში ეკუთვნოდა სოფლები: კულაში, ჭყუშური, კვირიკე, ნაბაკევი, ილორი, სანავარდო და სხვა. მათვე ეკუთვნოდათ იმ ადგილის უდიდესი ნაწილი, სადაც მოგვიანებით ქალაქი სამტრედია გაშენდა. მიქელაძეთა აზნაურებად ითვლებოდნენ ქაჯაიები, კახიანები, ასევე, მიქელაძეებიც. ხოლო მათი ყმა-გლეხები იყვნენ შენგელიები, ნუცუბიძეები, რუსიები, ახობაძეები, ბუაძეები, ნიკურაძეები, სტურუები, პაპავები, კვანტალიანები და სხვები.

***– მიქელაძეები რატომ უჭერდნენ მხარს დადიანებს?***

– მე-17 საუკუნის 30-იან წლებში იმერთა მეფე გიორგი III-სა და სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანს შორის ატყდა ბრძოლა დასავლეთ საქართველოში გაბატონებისთვის. ამ ბრძოლაში მიქელაძეები მხარს ლევან დადიანს უჭერდნენ. ასევე, დადიანს ეხმარებოდნენ ქართლის მეფე როსტომი და ირანის შაჰი სეფი II. ასეთი მომხრეებით ზურგგამაგრებული ლევან დადიანი, როგორც ისტორია გვაუწყებს, „ნამეტნავად გაძლიერებულიყო და იმერეთი დაეჩაგრა“. ირანთან კავშირი კიდევ უფრო რომ განემტკიცებინა, დადიანმა სიმონ გურიელის ცოლყოფილი, თავისი და მარიამი ქართლის მეფე როსტომს მიათხოვა ცოლად. 1634 წელს, როცა ლევან დადიანს სამეგრელოდან ფერსათისკენ საცოლე მიჰყავდა, სადაც იმხანად მეფე როსტომი იდგა, ეშინოდა, რათა გზაზე იმერთა მეფე არ დასხმოდა თავს. თუმცა, იმერთა მეფის სავალებმა, მიქელაძეებმა, ლევან დადიანი და მისი მაყრები თავიანთ სამფლობელოზე გაატარეს. სამიქელაოს გზით ისინი რიონს გავიდნენ და ბაღდათის მახლობლად, სოფელ ხანთან მდებარე ხიდს მიუახლოვდნენ. აქ მათ დახვდათ ქართლის მეფე როსტომი, რომელსაც ლევან დადიანმა პომპეზურად ჩააბარა სადედოფლო. ლევან დადიანის ამალაში მიქელაძეებიც იმყოფებოდნენ. იმერთა მეფე გიორგის უნდოდა, ხელში ჩაეგდო დადიანი. ამიტომ სასწრაფოდ მოუყარა თავი ლაშქარს და მცირეოდენი ყმის თანხლებით, თვითონვე წავიდა დადიანის ჯარის დასაზვერად. თუმცა საკუთარმა ყმებმა უმუხთლეს, აცნობეს ეს ლევან დადიანს და მეფე გიორგი მას ტყვედ ჩაუვარდა.

***– ამ საქმეში მიქელაძეც ერია?***

– უეჭველად, ყოველივე ეს თავად მიქელაძის მონაწილეობით ხდება. იმერთა მეფის – გიორგი III-ის დატყვევების შემდეგ ლევან დადიანი გაცილებით თავისუფლად გრძნობდა თავს იმერეთში და სამეგრელოს მთავრის საყრდენად გვევლინება. ორ წელიწადს მეფე გიორგი დადიანთან იყო. მიქელაძეთა სათავადო მალე დადიანის მფლობელობაში გადავიდა. ამით აიხსნება, რომ ისინი ერთხანს იმერთა მეფის კარზე არ ჩანდნენ. იმერეთის მეფეს ალექსანდრე III-ის 1651 წლის ფიცის წიგნში იმერეთის ყველა თავადური გვარის წარმომადგენელი იხსენიება, მიქელაძეთა გარდა.



***– იმერეთის მეფე ალექსანდრე არ აპირებდა დასავლეთ საქართველოში პოზიციების გამყარებას?***

– ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1657) სამეგრელოს სამთავროს საქმე აირია. ამით ისარგებლა იმერთა მეფე ალექსანდრე III-მ. მან დალაშქრა სამეგრელო და დაიბრუნა საჭილაო-სამიქელაო. მაგრამ მიქელაძეები მაინც დადიანების ერთგულნი დარჩნენ.

***– რატომ დათხარეს თვალები ოტია მიქელაძეს?***

– მე-17 საუკუნის შუა წლებში მიქელაძეთა სათავადოს თავკაცად ჩანს ოტია მიქელაძე. 1658 წელს იმერეთის მეფის ალექსანდრე III-სა და სამეგრელოს მთავარ ლიპარიტ III დადიანს შორის მომხდარ ბანძის ბრძოლაში ოტია მიქელაძე თავის სახლიკაცებით ლიპარიტის მხარეს იბრძოდა. ბანძის ომი მეფე ალექსანდრეს გამარჯვებით დამთავრდა. ტყვედ ჩავარდნილ ოტია მიქელაძეს, მეფის ბრძანებით, თვალები დაუწვეს „ზუმბულით“. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ, ალექსანდრე III-მ დასჯილი თავადი ოტია მიქელაძე შეირიგა. 1658-60 წლებში იმერთა მეფის მიერ დაწერილ წყალობის წიგნში ოტია მიქელაძე მოწმეთა შორის იხსენიება. ამის შემდეგ ქართულ წყაროებში ოტიას ხსენება წყდება. როგორც ჩანს, ის მალე გარდაიცვალა.

***– ოტია მიქელაძის შთამომავლის სიძლიერეს რით ახსნით?***

– მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში მიქელაძეთა სათავადოს მეთაური ოტიას შვილი გიორგია. გიორგი მიქელაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა როკითის ბრძოლაში იმერთა მეფე ალექსანდრე IV-ის მხარეზე. გიორგის გავლენის ზრდას ფართო ნათესაური კავშირი უწყობდა ხელს, რომელიც მას ჰქონდა იმერეთისა და ქართლის მეფე-თავადებთან. მისი ასული ხორეშანი ქართლის მეფე გიორგი მე-11-ის თანამეცხედრე იყო. თავად მიქელაძის და სევდია კი სამეგრელოს ფაქტიური მმართველის, გიორგი ლიპარტელიანის მეუღლე გახლდათ. მისი მეორე და არგვეთის თავადის, პაატა აბაშიძის ცოლი იყო. თვითონ გიორგი მიქელაძეს კი ცოლად რაჭის ერისთავის – შოშიტა II-ის და ჰყავდა. გიორგი მიქელაძე ერთხანს ქართლის მეფის, გიორგი მე-11-ის, ნათესაობის გამო, მხარს უჭერდა მისი ძმის, არჩილის მეფობას. თუმცა, მალე პოზიცია შეიცვალა და იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრის, გიორგი VI-ის მხარეს გადავიდა. ამ გზით ის ცდილობდა, იმერეთის თავადებზე პირველობა მოეპოვებინა. ამის გამო დაუპირისპირდა იმერთა მეფის წინააღმდეგ მებრძოლ საკუთარ დისშვილს, გიორგი აბაშიძეს და სიძეს – გიორგი ლიპარტელიანს. ეს განდიდებული თავადები იმერთა მეფის – გიორგი VI-ის ხელისუფლებას არ ცნობდნენ. ამიტომ გიორგი მიქელაძემ იმერთა მეფეს ურჩია, ცოლად შეერთო ქართლის მეფის, გიორგი მე-11-ის ასული – როდამი. მიქელაძეს იმედი ჰქონდა, რომ ქართლის მეფის დახმარებით იმერთა მეფე ძალაუფლებას განიმტკიცებდა და თვითონაც პირველი თავადი გახდებოდა, თუმცა ამაოდ. გიორგი ლიპარტელიანმა და გიორგი აბაშიძემ იმერთა მეფის ერთგული მიქელაძე საკუთარი მამულიდან გააძევეს. გიორგი მიქელაძე იძულებული იყო ქართლში გადახვეწილიყო. ამის შემდეგ მასზე ცნობები წყდება.

სოლომონ I-ის დროს უკვე სიმონ მიქელაძე მის წინააღმდეგ თავადთა შეთქმულებაში მონაწილეობდა 1778 წელს, ხოლო სოლომონ II-ის დროს თავადი მიქელაძეები მისი ერთგულნი არიან და სოლომონის ტახტის მეტოქეს ებრძვიან. მიქელაძეები სოლომონ II-ის ერთგულები დარჩნენ იმერთა სამეფოს არსებობის ბოლომდე. ამიტომაც სოლომონის ამალაში უამრავი მიქელაძე შედიოდა. იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, მიქელაძეთა სათავადომ ადმინისტრაციულად არსებობა შეწყვიტა.

***– თუმცა, მიქელაძეები რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში აქტიურად იბრძოდნენ.***

– იმერეთის 1819-20 წლების აჯანყებაში ქაიხოსრო, ზურაბ და ქუთუმ მიქელაძეები ქვემო იმერეთის – ვანის ოლქის მთავარ მეამბოხეებად სახელდებიან. მათი მოგვარე მდივან-ბეგი დავით მიქელაძე ამ აჯანყებაში მონაწილეობის გამო რუსეთში გადაასახლეს, საიდანაც მხოლოდ 1824 წელს დაბრუნდა.

**მედიცინა**

## კანის დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით



### დერმატიტი

დერმატიტი კანის ანთებითი დაავადებაა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ქიმიურმა, ფიზიკურმა, ტემპერატურულმა, მცენარეულმა და ცხოველურმა გამღიზიანებლებმა. დერმატიტის დროს კანი შეწითლებული, შესიებული და გაცხელებულია. მას ახლავს წვის, ქავილის შეგრძნება. გაწითლებულ კანზე შეიძლება გაჩნდეს ბუშტუკები, რომლებიც უფერული სითხითაა სავსე. კანის ამგვარი დაზიანების სამკურნალოდ საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზის ცოდნა.

დერმატიტთან საბრძოლველად ხალხური მედიცინა გთავაზობთ შემდეგს:

– 1 სუფრის კოვზ ბაბუაწვერას ფოთლებს ასხამენ 400 მლ მდუღარე წყალს თერმოსში. იღებენ თბილი სახით 1/2 ჩაის ჭიქას დღეში 4-ჯერ. გამოიყენება კანის მრავალი დაავადების სამკურნალოდ.

– ორკბილას ნახარშის აბაზანები გამოიყენება ქავილიანი დერმატიტის დროს (განსაკუთრებით ბავშვებში).

– ალოეს ფოთლები გამოიყენება ხანგრძლივი დერმატიტების სამკურნალოდ, რისთვისაც ალოეს ფოთლების წვენში დასველებულ საფენებს იდებენ დაზიანებულ ადგილებზე. მკურნალობის შედეგად აღდგება კანის მგრძნობელობა, პიგმენტაცია და თმის ზრდა (თავის ნაწილში) ამ ადგილებში.

– კარტოფილს (უმს) ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ამიტომ მისი სახამებელი გამოიყენება შესაფრქვევად, მალამოების სახით.

– მრავალძარღვას ცხელ წვენს ურევენ ვაზელინში და იზელენ დაზიანებულ ადგილებში.

### ფსორიაზი

ფსორიაზი კანის ქრონიკული დაავადებაა, რომლის გამომწვევი მიზეზია ნერვული და ენდოკრინული სისტემის მოშლა, დარღვევები ნივთიერებათა ცვლაში, ორგანიზმში არსებული ქრონიკული ინფექციური კერები (ტონზილიტი, ჰაიმორიტი).

ამ დაავადებისადმი მიდრეკილება შეიძლება შთამომავლობითაც გადაეცეს.

დაავადება იწყება კანზე მოვარდისფერო ან მოწითალო კვანძების გაჩენით, რომლებიც იფარება მოვერცხლისფერო-თეთრი ქერცლებით. გამონაყარი თანდათან ფართოვდება, ერთიანდება და იქმნება მსხვილი კერა.

ფსორიაზით დაავადებულ ადამიანს ურჩევენ რძისა და მცენარეული საკვების მიღებას, უზღუდავენ ცხოველურ ცხიმებსა და ნახშირწყლებს. სასურველია მზის აბაზანების მიღება (მაგრამ არა – დაავადების გამწვევების პერიოდში), ზღვაში ბანაობა, საოჯახო პირობებში კი თბილი საპნის აბაზანები.

ხალხური მედიცინა გთავაზობთ შემდეგს ფსორიაზთან საბრძოლველად.

**შინაგანად მისაღებად**

– ნივრის ცოცხალი წვენისა და ფაფის მიღება (თაფლით) ფსორიაზის სამკურნალოდ უძველესი და ეფექტური საშუალებაა.

– 20 გრამ დაფნის მშრალ ფოთლებს ასხამენ 2 ჭიქა მდუღარეს, ადუღებენ 10 წუთს, წურავენ. სვამენ დღის განმავლობაში 3 მიღებაზე. მკურნალობის კურსი 5-7 დღეა.

– ისეთი დაავადების სამკურნალოდ, როგორიცაა ეგზემა და ფსორიაზი, გამოიყენება ქაცვის ზეთი. იღებენ დღეში 2 მილილიტრს.

– იღებენ 60 გრამ ჭინჭრის ყვავილს და ფოთოლს, ასხამენ 1 ლიტრ მდუღარეს. იღებენ დღეში 3-ჯერ 100 მილილიტრს. ეს საშუალება წმენდს სისხლს და დაავადება ქრება.

– 10 გრამ ორკბილას ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს. დგამენ 30 წუთით მდუღარე წყლის აბაზანაში. აცივებენ 10 წუთით, წურავენ, უმატებენ მდუღარე წყალს 200 მლ-მდე შესავსებად. იღებენ 2-3 სუფრის კოვზს დღეში 3-ჯერ.

გარეგანი საშუალებები ფსორიაზის სამკურნალოდ

– ფსორიაზის სამკურნალოდ იყენებენ მოცვის ნაყოფის ნახარშის საფენებს. დაზიანებულ ადგილზე იფენენ დილა-საღამოს.

– ქრისტესისხლას წითელი წვენის წასმა ფსორიაზით დაზიანებულ კერებში აშორებს ქერცლებს და კურნავს დაავადებას.

– ხარშავენ ფარსმანდუკს, ასხამენ აბაზანის თბილ წყალში და იკეთებენ აბაზანებს.

– არყის ხის კვირტების 10-30%-იანი მალამო საუკეთესო საშუალებაა ეგზემის, ფსორიაზის სამკურნალოდ.

– ორკბილა (ბალახი) 15 გრამი, კოთხუჯი (ფესვები) 15 გრამი, დიდგულას ყვავილები 10 გრამი, სიმინდის ულვაში 15 გრამი, კრაზანა 15 გრამი, წითელი მოცვის ფოთლები – 10 გრამი, ქრისტესისხლა 5 გრამი, მინდვრის შვიტა 10 გრამი, კულმუხო (ფესვები) – 10 გრამი.

ყველა შემავალი კომპონენტი დაჭერით წვრილად. 1 სუფრის კოვზ ბალახეულზე აიღეთ 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ და შეფუთეთ. 2 საათის შემდეგ ნაყენი გადაწურეთ. მიიღეთ დილით და საღამოს 1/2 სუფრის კოვზი საჭმლის შემდეგ.

– მიიღეთ წიწვოვანი აბაზანები ორი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად, 20 წუთით.

წიწვოვანი ექსტრაქტი ასე დაამზადეთ – 100 გრამი ნაძვის წიწვები ჩაყარეთ 1 ლიტრ წყალში, ადუღეთ 10 წუთი, დააყენეთ 3 საათი და მიღებული ნაყენი ჩაასხით სავსე აბაზანაში.

**კალეიდოსკოპი**

## მედდამ მეხდაცემული კოლეგა გადაარჩინა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონის საავადმყოფოდან გამოეწერა ქალი, რომელმაც მიმდინარე წლის 9 სექტემბერს მეხის პირდაპირი დაცემა გადაიტანა.

მედდა ტალიტა ტეიშეირა პადილია ქალაქის ერთ-ერთ პლაჟზე ძაღლს ასეირნებდა, როდესაც მას მეხი დაეცა. ეს ყოველივე ადგილობრივმა მცხოვრებმა, ასევე მედდამ ტრეისი კრონინმა შენიშნა. მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა, ხოლო მის მოსვლამდე თავად უტარებდა ხელოვნური სუნთქვის და გულის ასამუშავებელ პროცედურებს.



მოგვიანებით ექიმებმა განაცხადეს, რომ პადილია მხოლოდ იმის წყალობით გადარჩა, რომ სათანადო დახმარება კრონინმა აღმოუჩინა.

– ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ ამაზე უარესი, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ძალიან მაგარია, რომ მის გვერდით აღმოჩნდა მეორე მედდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ გადარჩებოდა, – განაცხადა ექიმმა ტრეისი დეჩერტმა.

მეხდაცემული ქალი საავადმყოფოში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს. ფაქტიურად მისი არც ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შინაგანი ორგანო არ ფუნქციონირებდა. თუმცა, დროთა განმავლობაში, ორგანიზმმა ამუშავება დაიწყო. მეხის დაცემიდან თითქმის 40 დღის შემდეგ, 18 ოქტომბერს პადილია საავადმყოფოდან სარეაბილიტაციო კლინიკაში გადაიყვანეს. ექიმებმა და სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებმა ქალი აპლოდისმენტების თანხლებით გააცილეს და სწრაფად გამოჯანმრთელება უსურვეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პუტინის ახალი ჯოჯოხეთური გეგმა უკრაინაში



რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ახალი გამწვავებაა. ოკუპანტები ცდილობენ შეტევები განავითარონ შემდეგი მიმართულებებით: ავდეევკა, მარინკა, ბახმუტი. თავის მხრივ, უკრაინელები წარმატებით აგრძელებენ იერიშებს ზაპოროჟიეს ოლქში, ხერსონსჩინაზე, ყირიმში. ზამთრის მოახლოებასთან ერთად, რუსეთი აძლიერებს უკრაინის დაბომბვას. ძლიერდება შეტევები ავდეევკაზეც.

ესტონეთის დაზვერვის აზრით, რუსი ოკუპანტების ტაქტიკა უფრო მრავალმხრივი გახდა. რუსების მთავარი სამიზნე ახლა ავდეევკაა. ოკუპანტებმა აქ ახალი რეზერვები გადაისროლეს. რუსები მთელი ძალისხმევით ცდილობენ ავდეევკის „კოტიოლში" მოქცევას, რადგანაც ამ ქალაქის პირდაპირი იერიშით აღება შეუძლებელია.

ამავე დროს რუსული მედია ავდეევკის შესახებ სიცრუეს სიცრუეზე ავრცელებს. ასე, მაგალითად, რტრ-მა გადასცა ინფორმაცია, თითქოს რუსმა ოკუპანტებმა ავდეევკისაკენ მიმავალი ერთადერთი ტრასა ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშ აიყვანეს. აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობით, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ავდეევკაში საკმარისადაა სურსათი და მედიკამენტები. ვოლონტიორებს ქალაქში მაინც შეაქვთ ჰუმანიტარული დახმარება და წამლები. ამას გარდა, რუსული ტანკები უკრაინულ დანაღმულ ველებს აწყდებიან. მათი დაძლევა ოკუპანტებისათვის ძალზე ძნელია.

პუტინის გეგმის მეორე ნაწილია ბახმუტისა და მარინკის აღება. კარს მომდგარი არჩევნების წინ, ვლადიმერ ვლადიმიროვიჩს ეს ჰაერივით სჭირდება. მარინკაზე შეტევები გაძლიერდა. მიუხედავად ამისა, უკრაინელები თავიანთ პოზიციებს მტკიცედ ინარჩუნებენ. მსგავსი სიტუაციაა ბახმუტთანაც. რუსები ცდილობენ დაკარგული პოზიციები დაიბრუნონ, მაგრამ ეს მხოლოდ ახალ მსხვერპლს იწვევს. საოკუპაციო არმიის ჯარისკაცები პანტა-პუნტით იხოცებიან. შესაბამისად, რუსებმა ვერც მარინკის აღება შეძლეს და ვერც ბახმუტთან ვერ გაიუმჯობესეს მდგომარეობა.

პუტინის გეგმის მესამე და ალბათ ყველაზე მთავარი ნაწილია უკრაინის ენერგოსისტემაზე შეტევა. ესტონეთის დაზვერვის აზრით, ეს ჯერ არ დაწყებულა. სავარაუდოდ, იგი ნოემბრის დასაწყისში დაიწყება, თავის აპოგეას კი დეკემბერ– თებერვალში მიაღწევს.

პუტინის გეგმა მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: 1) ფრონტის დონეცკიდან რაც შეიძლება შორს გადაწევა; 2) ბახმუტთან მდგომარეობის გაუმჯობესება; 3) უკრაინული ენერგოსისტემის სრული პარალიზება და ზამთარში უკრაინული მოსახლეობის გაყინვა.

პუტინი დარწმუნებულია, რომ ამ გეგმის შესრულების შემთხვევაში, აიძულებს უკრაინის ხელმძღვანელობას, მიიღოს მოსკოვის ე.წ. სამშვიდობო პირობები.

შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია უკრაინული მოსახლეობის კონსოლიდაცია, რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმების გაძლიერება, დასავლეთის მიერ რუსეთზე ზეწოლის გაძლიერება, უკრაინისათვის ფინანსური დახმარების გაზრდა. იმისაგან, თუ რამდენად განხორციელდება ყოველივე ეს, დამოკიდებულია, ჩაიშლება თუ არა პუტინის მორიგი ჯოჯოხეთური გეგმა უკრაინის წინააღმდეგ.

# ბაიდენი ისრაელსა და ჰამასს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ ღაზაში ცეცხლი უნდა შეწყდეს და მშვიდობა დამყარდეს. ბაიდენის აზრით, ეს სავსებით რეალურია.



# ისრაელი გაეროს გენერალურ მდივანს აკრიტიკებს

გაეროს გენერალურმა მდივანმა გუტიერეშმა განაცხადა, რომ ომი ისრაელში გამოიწვია ისრაელის მიერ პალესტინური მიწების ოკუპაციამ. ამან ისრაელელები აღაშფოთა. ისრაელის წარმომადგენელმა გაეროში ერდმანმა თქვა:

– გუტიერეშის სიტყვები ტერორიზმის გამართლებაა!

ერდმანმა დაამატა, რომ ასეთი გამოსვლის შემდეგ გუტიერეშს გაეროს გენერალური მდივნის პოსტზე დარჩენის არავითარი მორალური უფლება არა აქვს. ამასობაში ისრაელის ტერიტორიაზე ომი გრძელდება. ჰამასის ბოევიკებმა ცეცხლი დაუშინეს თელ-ავივს. ეს 7 ოქტომბრის შემდეგ ყველაზე მასობრივი დაბომბვა იყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

# ბრიტნი სპირსმა განმარტა, რატომ უყვარს დედიშობილა სურათების გადაღება



ამერიკელმა მომღერალმა ბრიტნი სპირსა განმარტა საკუთარი ლტოლვა დედიშობილა ფოტოსურათების გადაღებისკენ. ამის შესახებ კი მან საკუთარ მემუარებში დაწერა, რომლიდან ნაწყვეტიც ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

მომღერალმა აღიარა, რომ რეგულარულად იღებს დედიშობილა ფოტოსურათებს, ვინაიდან ასეთი ფოტოსესიები მას საკუთარი თავის რწმენას უმტკიცებს.

– ბევრს არ ესმის, თუ რატომ ვიღებ ასეთ მდგომარეობაში ფოტოსურათებს. თუმცა ისინი მთელი ცხოვრება რომ ეიძულებინათ დედიშობილა სურათები გადაეღოთ, ხალხის მხრიდან ქების დამსახურებისთვის, მაშინ ისინი ნამდვილად გამიგებდნენ, – განმარტა ბრიტნი სპირსმა.

# განძის მაძიებელმა უცნობი მეფის მონეტა იპოვა



უძველესი მონეტა აქამდე უცნობი ბრიტანეთის მეფის გამოსახულებით აუქციონზე რეკორდულ ფასად გაიყიდა.

პატარა ოქროს მონეტა განძის მაძიებელმა ლიუის ფუჯმა იმ დროს იპოვა, როდესაც 2023 წლის მარტში ლითონმაძიებელი ხელსაწყოს გამოყენებით ჰემპშირის საგრაფოში ერთ-ერთ მდელოს იკვლევდა. სპეციალისტების შეფასებით, ის ჩვენ წელთაღრიცხვამდე 50-30-იან წლებშია დამზადებული.

მონეტას ამშვენებს საბრძოლო ცხენის და ეტლის გამოსახულება და გაკეთებული აქვს წარწერა, რომელიც ლათინურიდან შემდეგნაირად ითარგმნება „ღმერთზე ძლიერი ეზუსია". სავარაუდოდ, ეს დავიწყებული მეფის სახელია, რომელიც იმ ტერიტორიებზე იმ წლებში მეფობდა. განძის მაძიებლის აღმოჩენა კი მისი არსებობის ერთადერთი დამადასტურებელი მტკიცებულებაა.

მონეტამ მაშინვე მიიპყრო კოლექციონერების ყურადღება. ისინი ჯერ კიდევ აუქციონამდე უკავშირდებოდნენ განძის მაძიებელს და თანხას სთავაზობდნენ, მაგრამ მან გადაწყვიტა აუქციონის შედეგებს დალოდებოდა. საბოლოოდ კი ლოტი 20,4 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა, რაც ხუთჯერ აღემატება აუქციონის სახლის ექსპერტის მის თავდაპირველ შეფასებას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

# Victoria's Secret-ის მოდელმა ფორთოხლისფერი საცურაო კოსტიუმით მოიწონა თავი



ამერიკელმა მოდელმა დევონ უინძორმა თავის თაყვანისმცემლების წინაშე თავი ეროტიკული ფოტოსურათით მოიწონა, რომელიც ტიკ-ტოკში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

Victoria's Secret-ის 29 წლის მოდელმა საკუთარი სხეული ფორთოხლისფერ ოქროსფერარშინიანი საცურაო კოსტიუმით წარმოაჩინა. გამოქვეყნებულ კადრებში ის კამერის წინ უმაკიაჟოდ და გაშლილი თმებით პოზირებს. გარდა ამისა, მას სხვადასხვა სურათებში ზოლებიანი პერანგი, ნიჟარებიანი მძივი, მზის სათვალეები და პრადას ხელჩანთა ამშვენებს.

– მაიამიში სულ ზაფხულია! – დაწერა საკუთარი ფოტოსესიის კომენტარში ამერიკელმა მოდელმა.

# სპეციალისტმა თავის დაბანის საუკეთესო დრო დაასახელა

ვარცხნილობების სტილისტმა ფაუსტა ურტე გეიგაიტემ თავის დაბანის საუკეთესო დრო დაასახელა. შესაბამისი მასალა ერთ-ერთ ამერიკულ ქალთა ჟურნალში გამოქვეყნდა.

სპეციალისტის განმარტებით, ყველაფერი თმების ტიპზეა დამოკიდებული. მაგალითად, თხელი თმების მქონეთათვის თავის დაბანის საუკეთესო დრო დილაა, ხოლო ხშირი და ხუჭუჭთმიანებისთვის – საღამო.

ამავე დროს ექსპერტი რამდენიმე რეკომენდაციასაც იძლევა. მისი თქმით, თუ აღნიშნულ პროცედურას დილით მიმართავთ, ვარცხნილობა მთელი დღით არ შეგინარჩუნდებათ. რაც შეეხება საღამოს პროცედურას, გეიგაიტე გვირჩევს, რომ სველი თმებით დასაძინებლად დაწოლა არ არის რეკომენდირებული.



– სველი თმებით ძილმა შესაძლოა, თავის კანის პრობლემები წარმოქმნას, მაგალითად, სოკოვანი ინფექციის პროვოცირება მოახდინოს. ასევე შესაძლოა, თმები მტვრევადი გახდეს და ბუნებრივი ბზინვარება დაკარგოს, – განმარტა გეიგაიტემ.

# 30 წლის მამაკაცმა გოგონების ტუალეტში შესაღწევად მოსწავლე გოგონას ფორმა ჩაიცვა

ჩინეთში ჰონკონგის მკვიდრი დააპატიმრეს, რომელმაც მოსწავლე გოგონას ტანსაცმელი ჩაიცვა და სასწავლო დაწესებულების ტუალეტში შეაღწია.

სამრეწველო საწარმოს 30 წლის თანამშრომელი, გვარად ჩუნი თავის სამუშაო ადგილზე პარასკევს, 20 ოქტომბერს დააპატიმრეს. პოლიციამ გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლე გოგონამ, ქალების ტუალეტში გადაცმული მამაკაცი შენიშნა. გამოაშკარავებული გარყვნილი მამაკაცი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.



მოგვიანებით გაირკვა, რომ მან სკოლაში შეაღწია, ტუალეტის კაბინაში დაიმალა, გოგონებს ჩუმად უთვალთვალებდა და ვიდეოს უღებდა. ჩუნის ბინაში მოწყობილი ჩხრეკის დროს სამართალდამცავებმა გოგონას სკოლის ფორმა და კოსმეტიკა აღმოაჩინეს. ის გარყვნილი ქმედებისთვის დააპატიმრეს.

სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ისინი გამოძიებასთან თანამშრომლობენ და შიდა შემოწმებას ახორციელებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

# თორნიკე გოგებაშვილი: „შეეშვით სიცრუის ტირაჟირებას, ქართული რაგბი ფინანსურად ასეთი სტაბილური არასდროს ყოფილა"



ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს 7-ქალა ნაკრები დუბაის ტურნირზე წასვლას უსახსრობის გამო ვერ ახერხებს.

ამ ინფორმაციას გამოეხმაურა საქართველოს რაგბის კავშირი (სრკ) და გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუე უწოდა.

**თორნიკე გოგებაშვილი:**

– შეეშვით სიცრუის ტირაჟირებას და ქართული რაგბის წინააღმდეგ ინტერნეტსივრცეში ცილისწამების კამპანიებს, რომლის ბოლო გამოვლინება „ლიდერ-სპორტისა" და სხვა საინფორმაციო წყაროების მიერ რაგბის კავშირში არსებულ ფინანსურ პრობლემებზე გავრცელებული უაპელაციო სიცრუე გახდა. არასდროს ქართული რაგბი ფინანსურად ისეთი სტაბილური არ ყოფილა, როგორიც დღეს; ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ქალთა რაგბის განვითარებას, რომელიც უკვე მომავალი წლიდან მსოფლიო რაგბის მხარდაჭერით სრულიად ახალი განვითარების ეტაპს იწყებს, და დუბაის ტურნირზე უარიც სწორედ ამ მიზეზით ითქვა. ამ გადაწყვეტილების მიღება ქალთა ნაკრების პერსონალსა და სპორტულ დირექტორთან ერთად მოხდა, მათი პოზიცია იყო, რომ ეს კონკრეტული ტურნირი ამ ეტაპზე არანაირ სპორტულ მიზნობრიობას არ შეიცავდა. აქვე დავძენ, რომ საქართველოს რაგბის კავშირი მოწინავე ორგანიზაციაა ქალთა სპორტის გაძლიერებისა და განვითარების მხარდაჭერის კუთხით.

დაბეჯითებით ვთხოვ ქართულ საინფორმაციო წყაროებს, შეწყვიტონ სიცრუის გავრცელება, პატივი სცენ პროფესიულ სტანდარტებს, დაიცვან ეთიკის ნორმები და ინფორმაციის გავრცელებამდე გადაამოწმონ მისი სისწორე – საქართველოს რაგბის კავშირი მუდმივად მზად არის ნებისმიერ საკითხზე ინფორმაციის მისაწოდებლად. გეტყვით იმასაც, რომ სრკ უსახსრობას ჯერ უარყოფს, მაგრამ ასეთივე უარყოფა გააკეთა ლევან მაისაშვილის გათავისუფლების საკითხზეც, მაგრამ შემდეგ თავადვე დაადასტურა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

საზოგადოება

# გიგა აგლაძე „ევრიმაჟსა" და ჩრდილოეთ ამერიკაში საქართველოს წარმომადგენელია



„ევრიმაჟსა" და ჩრდილოეთ ამერიკაში კინოცენტრის საერთაშორისო წარმომადგენლად გიგა აგლაძე დაინიშნა. მან ამ თანამდებობაზე რეჟისორი ნინო კირთაძე შეცვალა. კონკურსი 18 აგვისტოს გამოცხადდა და მისი გამარჯვებული გიგა აგლაძე გახდა.

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, გიგამ არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელა. მას აუდიოვიზუალურ სექტორში საქმიანობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. როგორც სცენარის ავტორი, რეჟისორი და პროდიუსერი სხვადასხვა კომპანიაში ქმნიდა მხატვრულ, დოკუმენტურ, ანიმაციურ და მრავალსერიან მხატვრულ ფილმებს, სარეკლამო პროდუქციასა და სატელევიზიო გადაცემებს. აქვს საზღვარგარეთ კინოწარმოების გამოცდილება.

გიგა აგლაძე 2017 წელს გახდა ამერიკელი კინორეჟისორის, დევიდ ლინჩის, ადგილობრივი პარტნიორი და ფონდი დააარსა, რომელიც საქართველოსა და ჰოლივუდის ერთობლივი კინემატოგრაფიული პროექტების განხორციელებას ხელს უწყობს.

იგი დამდგმელი რეჟისორი და პროდიუსერია ფილმებისა: „საზღვარზე", „ჰენესი. შვიდი თაობა", „ჰენრი", „მაისის 47-ე დღე". მან გადაიღო საავტორო ფილმი „სხვა მე", რომლის აღმასრულებელი პროდიუსერია დევიდ ლინჩი. ეს პირველი შემთხვევაა ქართულ კინემატოგრაფიაში, როდესაც ასეთი ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორი ქართული ფილმის აღმასრულებელი პროდიუსერი გახდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

# მამაკაცს არასტანდარტული თევზის გამო დააჯარიმებენ



ამერიკის ფლორიდის შტატში გამოიჭირეს მეთევზე, რომელსაც არასტანდარტული ზომების დაჭერილი თევზი უპოვეს.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა 57 წლის ხოსე ანხელეს მონტერო ბრავო იმ დროს შენიშნეს, როდესაც ფლორიდა-კისის არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე თევზაობდა. მათ მამაკაცის ნადავლი დაათვალიერეს და აღმოაჩინეს ათსანტიმეტრიანი კუბური ყვითელკუდა თევზი. აღსანიშნავია, რომ ფლორიდაში ამ სახეობის თევზის დაჭერა, რომლის სიგრძე 30 სანტიმეტრს არ აღემატება, კანონით აკრძალულია. კანონის ამ დარღვევისთვის მამაკაცს მსხვილი ჯარიმა ემუქრება, რომლის ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

• ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

• ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

• მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

• ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

• ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ფიგურული ციგურაობის მწვრთნელებმა ტექნიკური კურსები გაიარეს



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამული დაფინანსებით, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ) მხარდაჭერით და საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის ორგანიზებით, თბილისში მწვრთნელთა ტექნიკური კურსები ჩატარდა.

სემინარის ფარგლებში, კურსების მონაწილეები საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტთან, მარიამ გიორგობიანთან და მოწვეულ ექსპერტთან ერთად საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში იმყოფებოდნენ, სადაც სტუმრებს სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა უმასპინძლა.

ზენაიშვილმა მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, სტუმრებთან აღნიშნული პროგრამის მნიშვნელობაზე და საქართველოში ფიგურული ციგურაობის წარმატებების შესახებ ისაუბრა. ასევე თითოეულ მონაწილეს სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაცია საქმიანობის ფარგლებში მწვრთნელ-მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მათ მხარდამჭერ ტრენერ-პროგრამებსა და საკვალიფიკაციო სემინარებს აქტიურად ახორციელებს. ძირითადი მიზანი რეგიონალური თანამშრომლობის განვითარება და იმ ტექნიკური წესების და რეგულაციების გაცნობა-გაზიარებაა, რომლებიც შესაბამისობაშია საერთაშორისო საციგურაო კავშირის მოთხოვნებთან.

ამ მიზნით, თბილისში ჩატარდა მოქმედ მწვრთნელ-მასწავლებლებისთვის მწვრთნელთა ტექნიკური კურსები, რომლებსაც უძღვებოდა საერთაშორისო კატეგორიის მოწვეული სპეციალისტი, 35-წლიანი გამოცდილებით, ქალბატონი შანეტ ფოლე.

კურსები ითვალისწინებდა როგორც თეორიულ ნაწილს, ასევე ყინულის მოედანზე პრაქტიკულ მეცადინეობებს.

მწვრთნელთა ტექნიკური კურსების დასრულების შემდეგ 24 მონაწილეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სერტიფიკატები ზენაიშვილმა გადასცა.

# 18 წლამდე ნაკრები ევროპაზე პრაქტიკის გარეშე გაემგზავრება




11-19 ნოემბერს, საქართველოს 18 წლამდე მორაგბეთა ნაკრები ჩეხეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს გადის. გუნდი 32-კაციანი გაფართოებული შემადგენლობით შევარდენის სანაკრებო ბაზაზე ვარჯიშობს და კვირის ბოლოს საკონტროლო თამაშს გამართავს. სულ რაზმში 35 მორაგბეა, საიდანაც 26 უნდა შეირჩეს.

უმცროსი ბორჯღალოსნები ეცდებიან ევროპის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეხუთედ მოიპოვონ. შარშან საქართველოს ნაკრებმა წარმატებას რუსთავში გამართულ ტურნირზე მიაღწია. ქართველმა მორაგბეებმა მეოთხედფინალში ჩეხეთს (76:0) სძლიეს, შემდეგ ბელგიაც (86:0) გაანადგურეს, ფინალში კი, პორტუგალიას (34:10) აჯობეს.

წელს, პრაღაში დაგეგმილ ტურნირში, საქართველოს გარდა, ბელგია, ნიდერლანდები, პორტუგალია, რუმინეთი, შვეიცარია, ესპანეთი და ჩეხეთი ითამაშებენ. უკვე ცნობილია, რომ უმცროსი ბორჯღალოსნები მეოთხედფინალში შვეიცარიას გაეჯიბრებიან, ნახევარფინალში კი ბელგიასა და ნიდერლანდებს შორის უმჯობესთან დაპირისპირება ელით.

**სხვა ორი მეოთხედფინალი ასე დაკომპლექტდა**: პორტუგალია-რუმინეთი და ესპანეთი-ჩეხეთი.

**ზურაბ ამონაშვილი, 18 წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– სამწუხაროდ, ბოლო მომენტში არ ჩამოვიდა სამხრეთაფრიკული გუნდი, რის გამოც პრაქტიკულად უთამაშებლები და საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილების გარეშე დავრჩით. ასეთ სიტუაციაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ლელომ და ყოჩებმა – პირველის ესპუართა გუნდს უკვე ვეთამაშეთ, ყოჩებს კი, პარასკევს შევხვდებით. რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ ტიტულის მოსაგებად, მაგრამ ეს იოლი არ იქნება. ჩვენმა მთავარმა კონკურენტებმა უკვე ორ-ორი საერთაშორისო ტურნირი ითამაშეს.

**საქართველოს 18 წლამდე ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

**შერკინება**: დაჩი ჭელიძე, მიშო ხახუბია, შოთა ხელაძე, ანდრო დვალი, მიხეილ შიოშვილი, ნიკოლოზ აბესაძე (ყველა ლელო), აჩი ნოზაძე, მათე ღურწკაია (ორივე ყოჩები), ნიკა ნეფარიძე, გიორგი მესხი, ცოტნე ცხოვრებაძე, გიორგი ბოჩიკაშვილი (ყველა ხვამლი), გიორგი ძაგანია (ნიცა, საფრანგეთი), ნიკოლოზ ქუმარიტოვი (ლოკომოტივი), თემო წულუკიძე (იუნკერები), ლუკა სალინაძე (ლიონი, საფრანგეთი), ლუკა წიკლაური (რუსთავი), ლუკა გაბუნია (აია);

**ხაზი**: გიორგი სპანდერაშვილი, გიორგი ხაინდრავა, ნუგო ქევხიშვილი, ნიკოლოზ ხალვაში (ყველა ლელო), გიორგი ჯაში, სანდრო მესხიძე, დავით ბარბაქაძე, ლუკა კეშელავა, სანდრო სესიაშვილი (ყველა არმია), ბუბა ნოზაძე, მათე თავდგირიძე (ორივე ბათუმი), გიორგი ჭელიძე (აია), ტატო ბურთიკაშვილი (ვეფხვები), გოგიჩა გოგუა (არმაზი), ლუკა თაყაიშვილი (ხვამლი), გიორგი ბოლქვაძე (აკადემია), გიგი სირბილაძე (სქარბოროუ, ინგლისი).

# მიქაუტაძე აიაქსს ინგლისში ავადმყოფობის გამო ვერ გაჰყვა



შინაურ ჩემპიონატში ცუდი სტარტის შემდეგ ამსტერდამის აიაქსის მთავარი მწვრთნელი მორის სტეინი გაათავისუფლეს და იმედი გვქონდა, რომ დროებითი მწვრთნელი ჰედვიგ მადურო ქართველ ფეხბურთელ გიორგი მიქაუტაძეს შანსს უახლოეს მატჩებში მისცემდა. თუმცა, ასე არ იქნება, რადგან ქართველი ფეხბურთელი გუნდს ევროპის ლიგაზე ბრაიტონთან სათამაშოდ ვერ გაჰყვა.

აიაქსი უკვე ინგლისშია და გუნდთან ერთად არ იმყოფება გიორგი მიქაუტაძე, რომელიც, ნიდერლანდური მედიის ცნობით, ავადაა და წასვლა ამიტომაც ვერ მოახერხა.

აიაქსი ევროპალიგის ბ ჯგუფში 2 ქულით მესამე ადგილს იკავებს. ამსტერდამელებმა პირველ შეხვედრაში სახლში მარსელთან (3:3) ფრე ითამაშეს; ასევე ფრეს დასჯერდნენ სტუმრად ათენის აეკ-თანაც (1:1).

რაც შეეხება მიქაუტაძეს, ქართველმა ფეხბურთელმა მიმდინარე სეზონში აიაქსის შემადგენლობაში სულ 4 მატჩში მიიღო მონაწილეობა, სასტარტოში კი, მხოლოდ ერთხელ მოხვდა.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კვარაცხელია უნიონთა საუკეთესოდ დაასახელეს, კოპენჰაგენში ხოჭოლავა არ ათამაშეს



ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის პირველ სათამაშო დღეს მოედანზე ორ ქართველ ფეხბურთელს ველოდით, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოჩნდა. თუმცა, მივყვეთ ჯგუფების მიხედვით.

**ა ჯგუფი**

მიუნხენის ბაიერნი ჯგუფს დამაჯერებლად ლიდერობს. ბავარიელებმა სტუმრად გალათასარაის მოუგეს – 3:1.

გერმანელები მალევე კომანის გოლით დაწინაურდნენ, რომელიც მასპინძლებმა შესვენებამდე იკარდის პენალტით გაქვითეს. მატჩის ბოლოს კი, კეინისა და მუსიალას გოლებით ბაიერნმა შინ 3 ქულა წაიღო.

ბაიერნს ფლეი ოფამდე მცირედი აშორებს, გალათასარაი მეორე ადგილზე კი რჩება, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად მძიმე ბრძოლების გადატანა მოუწევს.

ოდნავ გამოიკეთა სიტუაცია მანჩესტერმა, რომელმაც შინ მაგუაირის გოლით კოპენჰაგენს აჯობა. თუმცა, მატჩის ბოლოს ონანას პენალტი რომ არ აეღო, დავით ხოჭოლავას კოპენჰაგენი შინ ქულასაც წაიღებდა.

ხოჭოლავა, რომელიც ტრავმის შემდეგ მოედანს ახლახან დაუბრუნდა, სათადარიგო იყო და არ უთამაშია.

ჯგუფს ბაიერნი 9 ქულით ლიდერობს; გალათასარაის 4 ქულა აქვს; მანჩესტერი 3 ქულით მე-3 ადგილზეა; კოპენჰაგენს 1 ქულა და შემდეგ ეტაპზე გასვლის მცირე შანსები აქვს.

**ბ ჯგუფში**

ამ ჯგუფშიც დაძაბულია სიტუაციაა: ფრანგული ლანსი შინ აგებდა ნიდერლანდურ პსვ ეინდჰოვენთან, მაგრამ 10 წუთში გაუთანაბრა და მეტოქეს ცხრილში გასწრების უფლება არ მისცა.

არანაკლებ საინტერესო მატჩი შედგა სევილიაში, სადაც ლონდონის არსენალი სტუმრობდა. ბრიტანულმა კლუბმა ანდალუსიიდან მნიშვნელოვანი 3 ქულა წაიღო. არტეტას გუნდი მარტინელისა და გაბრიელ ჟესუსის გოლებით დაწინაურდა. მართალია, 58-ე წუთზე გუდელმა ერთი გაქვითა, მაგრამ დარჩენილ დროში მეტის გაკეთება ველარ შეძლო.

ამ ჯგუფში შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ყველას აქვს: არსენალი 6 ქულით ლიდერია; მეორე ადგილზე 5-ქულიანი ლანსია; სევილიასა და პსვ-ს 2-2 ქულა აქვთ;

**ც ჯგუფი**

ჯგუფიდან უპრობლემოდ გავა მადრიდის რეალი, რომელმაც სტუმრად 2:1 მოუგო ბრაგას. მადრიდელები როდრიგოსა და ბელინგემის გოლებით დაწინაურდნენ, რომელიც ჯალომ კი გაქვითა, მაგრამ სულ ეს იყო – პორტუგალიურ გუნდს მეტი არც ძალა ეყო და არც დრო...

ფლეი ოფში რეალს ნაპოლი უნდა გაყვეს, რომელმაც ბერლინში უნიონი დაამარცხა – 1:0. მატჩის ერთადერთი გოლი რასპადორიმ გაიტანა, ვისაც საგოლე პასი ხვიჩა კვარაცხელიამ გაუკეთა.

კვარაცხელია, რომელიც ძალიან აქტიური იყო, მწვრთნელმა მოედანზე 89 წუთი ათამაშა და მატჩის ბოლოს შეცვალა, ხოლო UEFA-მ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელა და კომენტარიც ჩამოართვა.

**ხვიჩა კვარაცხელია:**

– მოგებითა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოთი ბედნიერი ვარ, მაგრამ წინ უმნიშვნელოვანესი მატჩები გვაქვს და ასევე, გამარჯვებებით უნდა გავაგრძელოთ. ძალიან ბედნიერი ვარ და მადლობა დაფასებისთვის. ვფიქრობ, რასპადორიზე კარგი პასი გამომივიდა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჯაკომომ გაიტანა და მადლობა ამისთვის.

შემდეგ ეტაპზე გასვლასთან ახლოს ვართ და ასე უნდა გავაგრძელოთ. ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის მეტოქე. ყველა გუნდს პატივს ვცემთ, მაგრამ მოედანზე მოსაგებად გავდივართ და უნიონთანაც ამ განწყობით ვითამაშეთ.

რეალი 9 ქულით პირველია; მადრიდელებს კვალში ნაპოლი (6 ქულა) უდგას; ბრაგას 3 ქულა აქვს; ხოლო უნიონი უქულოა.

**დ ჯგუფი**

ინტერს საშინაო მატჩში გაუჭირდა, მაგრამ ზალცბურგს მაინც აჯობა – 2:1. სანჩესის ადრეული გოლი ავსტრიელებმა მეორე ტაიმში გაქვითეს, მაგრამ ჩალჰანოღლუმ პენალტი ზუსტად დაჰკრა და გუნდს 3 ქულა მოუტანა.

ცუდ დღეშია ბენფიკა. პორტუგალიურმა გუნდმა შინ 0:1 წააგო სოსიედადთან და, ფაქტობრივად, ფლეი ოფში გასვლის შანსი გადაიწურა.

სოსიედადსა და ინტერს 7-7 ქულა აქვთ; ზალცბურგი 3 ქულით ჯერ კიდევ იმედს იტოვებს; ბენფიკას კი, ჯერ ქულა არ აუღია.

# მსოფლიო რაგბი საქართველოს ტიერ 2-ში ტოვებს



საფრანგეთში მიმდინარე რაგბის მსოფლიო თასის პარალელურად, პარიზში მსოფლიო რაგბის საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს.

დავიწყოთ ახალი ფორმატით: 2027 წელს რაგბის მსოფლიო ჩემპიონატს ავსტრალია უმასპინძლებს და მეტ სტუმარს მიიღებს. საქმე ის არის, რომ მომავალ მსოფლიო თასზე 20-ის ნაცვლად, 24 ნაკრები ითამაშებს.

ახალი ფორმატით, 24 ნაკრები ექვს ოთხგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება, მომდევნო ეტაპზე, 1-2 ადგილზე გასულ გუნდების გარდა, ოთხი საუკეთესო მესამეადგილოსანიც გავა და ტიტულისთვის ბრძოლას 16 გუნდი მერვედფინალიდან განაგრძობს.

მომავალი მსოფლიო თასი 2027 წლის 1 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდება.

კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ მსოფლიო რაგბის ორგანიზაციამ ახალი ტურნირის, ერთა თასის დაარსება გადაწყვიტა, რომელშიც მსოფლიოს უძლიერესი 12 ნაკრები ითამაშებს. თუმცა, მათ შორის ვერ მოხვდა საქართველოს ნაკრები, რომელიც ტიერ 2-ის დონის სხვა გუნდებთან ერთად კვლავ ქვედა დონით დაკმაყოფილდება.

მსოფლიო რაგბის გადაწყვეტილებით, ახალი ტურნირი 2026 წლიდან დაიწყება და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ (ივლისსა და ნოემბერში) ჩატარდება. ელიტურ ლიგაში ექვსი ერისა (საფრანგეთი, ირლანდია, ინგლისი, შოტლანდია, უელსი, იტალია) და რაგბი ჩემპიონშიპის (ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, არგენტინა) ნაკრებების გარდა, იაპონია და ფიჯიც ითამაშებენ. სამწუხაროდ, საქართველოს ამ ორი ნაკრების მიწვევა ამჯობინეს.

სიძლიერის მიხედვით მომდევნო 12 ნაკრები (საქართველო, პორტუგალია, რუმინეთი, ესპანეთი, ტონგა, სამოა, აშშ, ურუგვაი, ნამიბია, ჩილე, კანადა და ჰონგ კონგი) მონაწილეობას „ჩელენჯერის" სერიაში მიიღებს.

2030 წლამდე ტურნირებს შორის გავარდნა-ალზევების სისტემაც არ იმოქმედებს, ხოლო შემდეგ, „ჩელენჯერის" სერიაში 1-2 ადგილებზე გასული ნაკრებები ერთა თასის აუტსაიდერებს დამატებით ფლეი ოფში ეთამაშებიან და ელიტაში მხოლოდ იქ წარმატების შემთხვევაში ალზევდებიან.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პეკინის მეორე სახელწოდება; 2. მადრიდის „რეალში" მოთამაშე 50-იანი წლების ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი; 3. ფრანგული სამხედრო, ვერტმფრენმზიდი ხომალდი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 8. კომერციული საქმიანობა; 9. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების გაერთიანება; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 20. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში.

**თარაზულად:** 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. პატარა მალაზიასახელოსნო იტალიაში; 10. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 11. კურორტი რაჭაში; 14. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 15. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 18. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანებში; 23. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ცეზარი; 2. ვერე; 3. სამშვილდე; 4. კინტო; 5. ნახნაგი; 8. დოლიძე; 9. კარდინალი; 12. კონცხი; 14. ხუდონი; 16. აშარი.

**თარაზულად:** 1. ციციშვილი; 6. კაროლინა; 7. ზანდური; 9. კრიშნა; 10. თორა; 11. ცისკარი; 13. ბადახში; 15. ნოველა; 17. ღერღედი; 18. მცხეთა; 19. ბოინგი; 20. ფილიპსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კურტაჟი; 2. თალმუდი; 3. სინეკურა; 4. დოფინი; 5. ჰერმესი; 8. ღირსება; 9. გელოვანი; 12. ევერესტი; 13. ჭიათურა; 16. ვიბრაცია; 17. წალვერი; 19. სპარტა; 20. დიდუბე.

**თარაზულად:** 6. ფუქსავატი; 7. ბოკვერი; 8. ღვენთი; 10. ბამბუკი; 13. ცეცე; 14. ღლიღვები; 15. დეპრესია; 18. ფინეთი; 21. პარმაღი; 22. დიჯეი; 23. არეუნა; 24. მარიონეტი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

26 ოქტომბერი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.7052

ევრო — 2.8607

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2792

100 რუსული რუბლი — 2.8986

**ამინდის პროგნოზი 26 ოქტომბრისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხვიჩა კვარაცხელიამ უნიონ ბერლინთან საგოლე პასი გააკეთა

ნაპოლიმ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის შეხვედრაში სტუმრად უნიონ ბერლინი დაამარცხა და კვარაცხელიას გუნდმა თავისი მდგომარეობა ჯგუფში საგრძნობლად გაიუმჯობესა.

კვარაცხელიამ საგოლე პასი გააკეთა, ხოლო ერთადერთი გოლის ავტორი ჯაკომო რასპადორი გახდა. მატჩის შემდეგ ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა რუდი გარსიამ კვარაცხელია შეაქო და თქვა, რომ მის გარეშე ნაპოლის მოგება გაუჭირდებოდა.



## მიკელ არტეტა: „სევილიას დამარცხება ყოველთვის რთულია“

არსენალის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ არტეტამ სევილიას დამარცხების შემდეგ თქვა, რომ მისმა გუნდმა მშვენიერი თამაში აჩვენა და სტუმრად სევილიასთან მოგება ყოველთვის ძალიან რთულია:

– სევილია ძლიერი გუნდია და ვიცოდი, რომ რთული მატჩი გველოდა, ამიტომ მიხარია, რომ მოვიგეთ. ყოველ თამაშში ვხედავ პროგრესს და ვიცი, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტს შევძლებთ.

## ჯუდ ბელინგემი: „მიხარია, რომ გოლი გავიტანე“



მადრიდის რეალის ინგლისელმა ნახევარმცველმა ჯუდ ბელინგემმა თქვა, რომ მას ყოველთვის სიამოვნებს გოლების გატანა, თუმცა პირველ ადგილზე რეალის გამარჯვება დგას: .

– ბრაგამ კარგად ითამაშა და ჩვენი გამარჯვება იოლი არ ყოფილა, თუმცა ვგრძნობდით, რომ უპირატესობა გვქონდა. ასეთი ტიპის გუნდებთან არ უნდა მოდუნდე. გატანილმა გოლმა ძალიან გამახარა და იმედი მაქვს, რომ მომავალში კარგ თამაშს გავაგრძელებ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ილია მეორეს 47.000-ზე მეტი ნათლული ჰყავს



ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში საყოველთაო ნათლობის 68-ე ეტაპი ჩატარდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნათლულებს 800-ზე მეტი ბავშვი შეემატა. ამჟამად მის უწმინდესობას 47.000-ზე მეტი ნათლული ჰყავს.

ნათლულებს და მათ ახლობლებს მისმა უწმინდესობამ შემდეგი სიტყვებით მიმართა: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ღმერთმა დალოცოს დღეს მონათლულები. ღმერთმა დალოცოს მათი მშობლები და ოჯახის წევრები. წყალობა უფლისა თქვენზედა მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

## ბათუმის თოჯინების თეატრმა გრან-პრი მოიგო



ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა ყაზახეთში გამართულ ალმათის თოჯინების I საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე გრან-პრი მოიგო სპექტაკლით „წერილი ჯერალდინას“. სპექტაკლის რეჟისორი, ინსცენირების ავტორი და სცენოგრაფი ელენე მაცხონაშვილია, კოსტიუმებისა და თოჯინების მხატვარი – ვახტანგ ქორიძე. სპექტაკლში გამოყენებულია ჩარლი ჩაპლინის მუსიკა.

თოჯინურ სპექტაკლში მონაწილეობენ ქეთევან სამხარაძე, მარიკა ბულეიშვილი, ირინე ღლონტი და სოფიო ცინცაძე.

სპექტაკლი „წერილი ჯერალდინას“ თეატრმა 30 ივლისს ალადგინა და მოქმედ რეპერტუარში დააბრუნა. წარმოდგენამ უკრაინაში, კიევის II საერთაშორისო თოჯინურ ფესტივალზე ნომინაციაში „საუკეთესო ანსამბლი“ გაიმარჯვა, თეატრალური პრემია „დურუჯის“ საიუბილეო მე-10 დაჯილდოებაზე, სპექტაკლისთვის „წერილი ჯერალდინას“ წლის საუკეთესო რეჟისორის პრიზი ელენე მაცხონაშვილს გადაეცა.

## „თეატრალურის კვარტეტი“ 20 წლის იუბილეს ვარსკვლავის გახსნით აღნიშნავს



„თეატრალურის კვარტეტი“ სცენაზე მოღვაწეობის 20-წლიან იუბილეს კონცერტითა და ვარსკვლავის გახსნით აღნიშნავს.

3 ნოემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში „თეატრალურის კვარტეტის“ 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება, ხოლო ღონისძიების დასასრულს საქართველოს კულტურის პალატის გადაწყვეტილებით, თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნება „თეატრალურის კვარტეტის“ სახელობითი ვარსკვლავი.

– ვაჯამებთ განვლილ გზას და ნათლად ვხედავთ, რომ კვარტეტის შექმნიდან 20 წლის მა ძილზე არ მოგვკლებია ჩვენი ძვირფასი მსმენელის სიყვარული. ალ ჰათ, სწორედ ეს სიყვარული იყო უმთავრესი მოტივატორი იმისა, რომ ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ვმდგარიყავით, ყველა სირთულე გადაგველახა და ერთგულად მივყოლოდით ქართული სიმღერის შესანიშნავ ტრადიციებს. ჩვენი მრავალრიცხოვანი მსმენელის მუდმივი მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ორი ათწლეულის განმავლობაში შემოქმედებითი ცხოვრების ცენტრში ყოფნა და გვჯერა, რომ კიდევ არაერთ ათწლეულს გავივლით ერთად. ეს დღეც, ყველაზე მეტად გეძღვნებათ თქვენ – ჩვენს ძვირფას მსმენელს.

საიუბილეო კონცერტი მრავალფეროვანი საკონცერტო მიმართულებით ჩატარდება: მუსიკალური ნომრები წარმოდგენილი იქნება ჩვენ მიერ განახლებული ვერსიებით კინოს, თეატრისა და ყველასათვის საყვარელი კომპოზიტორების რეპერტუარიდან. დიდი პატივია, რომ მუსიკალურ ნომრებს საორკესტრო თანხლებას გაუწევს ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი და ბენდი, მაესტრო ნიკა ნიკვაშვილის ხელმძღვანელობით. კონცერტის მუსიკალური ხელმძღვანელი ქეთი გაბისიანია, დამდგმელი რეჟისორი – ბაკურ ბაკურაძე, წამყვანი – ნიკოლოზ წულუკიძე. გელით სიყვარულით! – ნათქვამია „თეატრალურის კვარტეტის“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მატილდა გვარლიანმა ვალენტინოს ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა



ულამაზესმა ქართველმა მოდელმა მატილდა გვარლიანმა ცნობილ მოდელებთან ერთად ვალენტინოს ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა.

ჩვენება პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა, სადაც ქართველმა მოდელმა ვალენტინოს ახალი კოლექცია წარადგინა.

## ლაშა ბუღაძემ მარჯანიშვილის თეატრთან თანამშრომლობა დაასრულა



მწერალმა და დრამატურგმა ლაშა ბუღაძემ მარჯანიშვილის თეატრთან მრავალწლიანი თანამშრომლობა დაასრულა:

– დავასრულე ჩემი რამდენიმეწლიანი თანამშრომლობა მარჯანიშვილის თეატრთან, სადაც, ცხადია, ლევან წულაძისა და ეკა მაზმიშვილის წასვლის შემდეგ ცოცხალი თეატრალური პროცესის გაგრძელების იმედი არ მაქვს და, შესაბამისად, არც დარჩენის სურვილი.

ჩემთვის დაუვიწყარი იყო ლევან წულაძესთან ერთად შექსპირის ტექსტის ადაპტაციაზე მუშაობა, რომელიც მარჯანიშვილის დასმა საიუბილეო ფესტივალზე ითამაშა ლონდონში, შექსპირისავე „გლობუსში“.

ლევან წულაძის „როგორც გენებოთ“ ბრწყინვალე სპექტაკლი იყო და ალბათ საუკეთესოც იმ მრავალ შექსპირში, რომელიც ლეგენდარულ „გლობუსში“ წარმოადგინეს. ასევე მახსენდება მოლიერის „ტარტიუფზე“ მუშაობა და პიესების კითხვის კვირეულები. მათ შორის, კითხვა-დისკუსიები, „9 პიესა ომზე“ – გაეროს ქალთა ორგანიზაციის მეშვეობით განხორციელებული, სადაც ახალი ავტორების ხმები გაისმა.

მართალია, არც ლევან წულაძეს და არც ეკა მაზმიშვილს დაფდაფებისთვის არ შემოუკრავთ თავიანთი წასვლის დეკლარირებით, მაგრამ რეალობა ისეთია, როგორიც არის: კულტურის იმ კლანურ-რეპრესიული და უიდეო, უვიცი პოლიტიკის პირობებში, რაც დღეს არის, მათი დარჩენა თეატრში შეუძლებელი აღმოჩნდა და, ბუნებრივია, ჩემიც.

მით უმეტეს, კულტურის სრულიად უკულტურო კომისრის მმართველობის პირობებში. მის მძვინვარე უკულტურობაზე მარჯანიშვილის თეატრისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ კი ალბათ თავადვე იტყვიან თუ მოუნდებათ.

ცხადია, ჩემი სოლიდარობა მათ. და მადლობა მარჯანიშვილის თეატრს. პიესებს კი სხვაგან წავიკითხავთ და სხვა სივრცეებისთვის დავწერთ.

## იტალიელი ვარსკვლავი მარიო ბიონდი თბილისში კონცერტს გამართავს



27 ოქტომბერს თბილისის საკონცერტო დარბაზში სამგზის პლატინის ჯილდოს მფლობელი, საერთაშორისო აღიარების იტალიელი ვოკალისტი მარიო ბიონდი კონცერტს გამართავს. ხელოვანი ვირტუოზ იტალიელ მუსიკოსებთან ერთად მსმენელის წინაშე უახლესი ალბომით წარდგება. მარიო ბიონდის კონცერტის ორგანიზატორია „თაგის არტი – მსოფლიო კულტურული ინტეგრაცია“.

ჩარტების ლიდერი იტალიელი ვოკალისტი მარიო ბიონდი ღრმა, ხავერდოვანი და ამავდროულად ხრინწიანი ბარიტონით მღერის, რომელიც უკიდურესად დაბალი, ინტენსიური და განსაკუთრებულად ემოციურია სოულის, არენბისა და ჯაზის შესრულებისას. მისი წინამორბედების სიყვარული ბიონდის დაეხმარა კონკრეტული სტილის ჩამოყალიბებაში, რომელიც აერთიანებს ვოკალისტების ლუ რაულსის, ელ ჯეროსა და აიზეკ ჰეიესის გავლენას. მომღერალი წლების განმავლობაში მონაწილეობდა პროფესიონალურ სესიებში, მას შანსი მიეცა კომპანიონობა რეი ჩარლზისთვის გაეწია.

მარიო ბიონდიმ დიდი წარმატება მალევე მოიპოვა. მისი სიმღერები საერთაშორისო ჰიტებად და საცეკვაო ჰიმნებად იქცა და მრავალი რემიქსის ინსპირაცია გახდა. მომღერალი საერთაშორისო პოპის რამდენიმე სტილს, თანამედროვე ევროპული ჯაზის უამრავ ჟღერადობასა და ტრადიციას იყენებდა. მან ითანამშრომლა უამრავ ცნობილ ჯგუფთან, ერთობლივი სიმღერები ჩაწერა და საკონცერტო ტურნეებშიც ჩაერთო. ძლიერი და უნიკალური ხმის პატრონმა გადაწყვიტა სოლო კარიერა დაეწყო.

მარიო ბიონდის პირველივე სიმღერა ელვის სისწრაფით გახდა პოპულარული მთელ იტალიაში და ბრიტანელი დიჯეის ნორმან ჯეის დამსახურებით, დიდ ბრიტანეთშიც გავრცელდა. მისი ალბომი გაყიდვებით მეორე ადგილზე გავიდა და სამგზის პლატინის ჯილდოს მფლობელი გახდა.

იტალიელი მომღერალი 7 ალბომის მფლობელია. მისი ყველა ალბომი ჩარტების სათავეებში მოექცა. მარიო ბიონდი თბილისელი მსმენელისთვის სიმღერებს უახლესი ალბომიდან შეასრულებს.

## „მასტერშეფის“ მეათე სეზონი იწყება



კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე მეათე, საიუბილეო სეზონს იწყებს.

29 ოქტომბრიდან შოუს შეფები ლუკა ნაჭყებია, ლევან კობიაშვილი და კონსტანტინე თედელური კონკურსანტებს დავალებებს მისცემენ და მათგან საუკეთესოებს შეარჩევენ. „მასტერშეფის“ გამარჯვებულს, შოუს მთავარ პრიზთან ერთად, თბილისში ბინა გადაეცემა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვაჭართა ინტერესების დამცველი ორგანიზაცია დასავლეთ ევროპაში ძველად; 2. ოპერა „ფაუსტის“ კომპოზიტორი; 3. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 9. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 12. სატრფიალო ლირიკული ხასიათის აზერბაიჯანული სიმღერა; 14. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად:** 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 6. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 9. აეროპორტი პეკინში; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. როკანსამბლ „ქუინის“ ლიდერი; 13. კურორტი ხონის რაიონში; 15. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 17. მხარე ბელგიაში; 18. ქართული მინერალური წყალი; 19. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 20. განსაკუთრებული ნიჭი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

